ეროვნული თავისუფლების გზით — პიროვნული თავისუფლებისაკენ!
პიროვნული თავისუფლების გზით — ეროვნული თავისუფლებისაკენ!

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველო

საქართველოს სახალხო ფრონტი
ყოველკვირეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი
გამოდიოდა 1903-1905, 1915-1921 წ.წ. აღდგენილია 1989 წელს.

№ 19 (1354)

12-18 ივნისი, 1993 წ.

## „ესენგე“-ში რა გინდოდათ, თუ გალახვა არ გინდოდათ, თუმცა გასალახავები ჟურნალისტებს აქეთ სცემენ...

საქართველოს პარლამენტის 8 ივნისის სხდომა იმაზე უფრო აკადემიურ სტილში მიმდინარეობდა ვიდრე, ეს ქვეყანაში შექმნილ ეკონომიკურ-სოციალურ სიტუაციას შეეფერება. მიღებული იქნა დადგენილება ვენის კონვენციასთან შეერთების შესახებ, რაც საქართველოში უცხო ქვეყნების და საზღვარგარეთ საქართველოს საკონსულოების გახსნას ითვალისწინებს.

გაუქმებულ იქნა საქართველოს მინისტრთა კაბინეტის 1992 წლის 15 ნოემბრის დადგენილება, რის თანახმადაც ფირმა „ბაასს“, ეხსნებოდა საშემოსავლო გადასახადები. აღმოჩნდა, რომ აღნიშნულ ფირმას საწვავის არსებული დეფიციტის პირობებში 15 ათასი ტონა ბენზინი გაჰქონდა. არავინ იცის რა რაოდენობას შეადგენს სადამ ჰუსეინის კომუნისტურ-ტერორისტური პარტიის მოსახელე ფირმის მიერ საქართველოს ბიუჯეტისათვის დამალული თანხები, თუმცა როგორც ჩანს ყველაფერი ეს რაღაცნაირად უფრო დიდი, ქვეყნისათვის სტრატეგიული მნიშვნელობის საკითხებთან არის დაკავშირებული.

აღმოჩნდა, რომ ასევე განთავისუფლებულია გადასახადებისაგან რუსთავის მეტალურგიული ქარხანა და ამის გამო საქართველოს ისედაც მიხრწნილი ბიუჯეტი 1 მილიონი დოლარით ზარალდება.

სხდომაზე რესპუბლიკურმა პარტიამ მეორედ მიიტანა იერიში მთავრობაზე. რესპუბლიკელთა ლიდერმა ბატონმა ვახტანგ ძაბირაძემ ისევე როგორც თითქმის ერთი თვის წინ მისმა ახალგაზრდა კოლეგამ ი. ხაინდრავამ ლოგიკური არგუმენტაციით დაასაბუთა სიგუას კაბინეტის ნებსითი თუ უნებლიე ცოდვები ქვეყნის ეკონომიკის კრახში. მოითხოვა მისი გადადგომა,

დასასრული მე-3 გვერდზე

## კუპონებს რომ კურსი ავუწიოთ, დავადგინოთ — ქრთამის მიცემა მხოლოდ კუპონებით...

ორშაბათს, 15 ივნისს თავდაცვისა და უშიშროების საპარლამენტო კომისიის თავმჯდომარე ნოდარ ნათაძე იმყოფებოდა საავიაციო ქარხანაში თავდაცვის სპეციფიკური საკითხების გასარკვევად და მოსაგვარებლად.

საავიაციო ქარხნის დირექტორის კაბინეტიდან გამოსულ დეპუტატს დახვდა რამდენიმე ქალბატონი, რომელთაც დაჟინებით სთხოვეს შეხვედროდა მუშა-მოსამსახურეებს და ემსჯელათ იმ უკიდურესად მძიმე სოციალურ პირობებზე რომელშიც სხვა ფენებთან ერთად ჩვენი მუშები იმყოფებიან.

სალამოს ექვსის ნახევარზე ეს შეხვედრა ექსპრომტად შედგა.სხდომა გახსნა ქარხნის დირექტორმა ბ-მა აკაკი ხოფერიამ, რომელმაც ისაუბრა საავიაციო ქარხნის მუშაობის ხელშემშლელ პირობებზე. ხელშემშლელთა შორის კი უპირველესად ზემდგომი ორგანოები დაასახე-



დასასრული მე-3 გვერდზე

## კუპონი, მანეთი, თუ ისევ ორივე ერთად?

პარლამენტის მუშაობის მთელი გუშინდელი დღე მიეძღვნა კუპონის რამენაირად გადარჩენაზე მსჯელობას. ქართულ სინამდვილეში ყინჩად შემოსულმა ვალუტამ უკანასკნელ ხანებში მძიმე დევალვაცია განიცადა.

ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკაზე გავლენას ახდენს პოლიტიკური სიტუაცია, ისევე როგორც პირიქით-პოლიტიკას წარმართავს ეკონომიკა. ამდენად ბატონი ჯაბა იოსელიანის მიერ ნათქვამი ჯერ გავარკვიოთ საით მივდივართ და მერე დავადგინოთ ეროვნელი ვალუტის ბედიო აბსოლუტურად სწორი გახლდათ.საქმე იმაშია,რომ ქვეყანას რომლის ერთი ვიცე-პრემიერი „დამოუკიდებლ“ სახელმწიფოთა თანამეგობრობაში ექაჩება ხალხს, ხოლო მეორე ვიცე-პრემიერი ცდილობს ამ ე.წ. თანამეგობრობის ყველა ატრიბუტი მაქსიმალურად შეამციროს ჯუჯალარი (კუპონი) კი არა მზა-მზარეული დოლარი რომ მისცე თავისი დამცავი მძლავრი ეკონომიკით ერთ თვეში წელში გაწყვეტავს.

კუპონის ერთადერთ საგადასახადო საშუალებად დატოვების მომხრეებს თავიაანთი არგუმენტები აქვთ, მათ მოწინააღმდეგეებს კი თავიაანთი და ისინი არა ნაკლებ დამაჯერებლად ჟღერენ. ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბატონ დემურ დვალიშვილის აზრით მანეთის ბრუნვიდან ამოღებით გაიზრდება კუპონის დევალვაციის ტემპები. გაუარესდება მოსახლეობის ცხოვრების დონე.მისი ოპონენტები ფიქრობენ რომ კუპონის ერთადერთ ფულად ერთეულად გადაქცევით გაიზრდება მისი ბრუნვის ტემპები. ხოლო სხვა ვალუტაზე მათ შორის მანეთზე თავისუფლად გადაცვლის უზრუნველყოფის შემთხვევაში შემოტანილი პროდუქციის რაოდენობა არ შემცირდება. საერთოდ პარლამენტი ამ გაგებითაც გაიმიჯნა. მხოლოდ ეროვნულ ვალუტას ითხოვენ ეროვნული მოძრაობის გზით წარმოჩინებული პარტიები თუ პიროვნებები. მანეთს ვერ ელევიან სამანეთო ზონის არეალში აღზრდილებ,ი ისინი ეკონომიკური კატასტროფით აშინებენ შიმშილისაგან გამწარებულ ობივატელს,მაგრამ ამაზე უარესი რაღა უნდა იყოს? ლიბერალური საკრედიტო პოლიტიკით, ორი ვალუტით და საერთოდ ხალხზე ფიქრით წელგაწყვეტილი მთავრობის მქონე ქვეყანა ასეთი სწრაფი ტემპით რატომ მიექანება ეკონომიკური კრახისაკენ.

დებატები ამ საკითხზე გვიანობამდე გაგრძელდა. ბატონი დვალიშვილის შემდეგ ტრიბუნა მინისტრებს დაეთმოთ. სამწუხაროდ გაზეთის აკინძვას თავისი ულმობელი კანონები აქვს და არ იძლევა ამ უაღრესად საინტერესო კამათის ბოლომდე მოსმენის საშუალებას.

**მერაბ მაისურაძე**

## პრესის, ტელევიზიისა და რადიოს წარმომადგენელთა საყურადღებოდ!

გაზეთ „საქართველოს“ რედაქციას განზრახული აქვს ჩვენი სახელმწიფოს მაღალი თანამდებობის პირები, რომელთაც უშუალოდ ეკითხება ჩვენი სვე-ბედი და პასუხისმგებელნი არიან სახელმწიფოში მიმდინარე პოლიტიკურ, სამართლებრივ, სოციალურ და კულტურულ მდგომარეობაზე, მოიწვიოს რედაქციის ოფისში. (თავისუფლების მოედანი, პუშკინის ქ.№5.)

დიალოგში ჟურნალისტების გარდა მონაწილეობას მიიღებენ სახალხო ფრონტის წარმომადგენლები.

ჩვენი პირველი სტუმარი იქნება საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე ბატონი მინდია უგრეხელიძე.

მაშ ასე, ოთხშაბათს, 16 ივნისს, 4 საათზე გაზეთ „საქართველოსა“ და სახალხო ფრონტის საკონფერენციო დარბაზში შედგება შეხვედრა უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარესთან ბატონ მინდია უგრეხელიძესთან. (მოწვეულებს ვთხოვთ თან იქონიონ პირადობის დამადასტურებელი მოწმობები).

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ცნობები ცხინვალიდან

როკის გვირაბის ჩრდილოეთი პორტალიდან 17 კილომეტრის დაცილებით, ბურონთან რუსეთის სასაზღვრო ძალების მიერ დაფიქსირდა სახელმწიფოს საზღვარი. როგორც ტრანსკავკასიის მაგისტრალზე მოძრავი რუსი, სომეხი და სხვა ეროვნების მძღოლების გამოკითხვიდან ჩანს რუსი მწვანექუდიანი მესაზღვრეები მკაცრად ამოწმებენ საბუთებსა და ტვირთებს. აქ ჯერჯერობით არ ჩანან არც ქართველი მესაზღვრეები და არც ფირნიში წარწერით-საქართველოს რესპუბლიკა.

* * *

ლიახვის ხეობის ბლოკირებული სოფლების მოსახლეობა მთლიანად ცხინვალიდან გადამყიდველების მიერ ამოცანილი პროდუქტებითა და საწვავით მარაგდება, რაშიც ის უკანასკნელნი რუსულ მანეთებს თხოულობენ. მოსახლეობას კი ძირითადად მხოლოდ კუპონები აქვთ. განსაკუთრებით ზარალდებიან მომსახურეები, ძირითადად პედაგოგები, რომლებიც იძულებულნი არიან გორის ბანკებში ერთი სამზე კურსით გადაახურდაონ კუპონები.

* * *

ცხინვალში კრიმინოგენული სიტუაცია იმდენად მძიმეა, რომ ოსი მორიდიორბოევიკები „რესპუბლიკის" ხელმძღვანელობასაც აღარ ინდობენ. გაძარცული და დარბეული იქნა ე.წ. „სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის" „მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის" ოლეგ თეზიევის ბინა.

* * *

უკანასკნელ ხანებში ცხინვალის ომონიდან შეიმჩნევა მის, წევრების დენადობა. მათ შორის ბანდიტებთან ბრძოლის გამოგაწეულმა მსხვერპლმა, უხელფასობამ და რაც მთავარია იდეოლოგ-ხელმძღვანელების მიერ ჩრდილოეთში თავშესაფარის მოძებნამ ომონელთა ენთუზიაზმი საგრძნობლად შეანელა. კომპეტენტური წყაროებიდან ცნობილი გახდა, რომ თვით „შეურყეველმა" ტორეზ კულუმბეგოვმაც მოსკოვში ახლაშეძენილ ბინაში გახიზნა ცოლ-შვილი.

* * *

ცხინვალში შეტანილია საქართველოს ეროვნული ბანკის კუპონების სოლიდური თანხა, მაგრამ მათი გაცემა ხალხზე არ ხდება, თუმცა მთელ ორგანიზაცია-დაწესებულებებში ოთხი თვეა ხელფასი არ აუღიათ. ამ მიზეზით გაიფიცა ქალაქის ერთ-ერთი ყველაზე უფრო ანტიქართული მეექვსე სკოლის პედკოლექტივი. ეს პირველი შემთხვევა არ არის აღნიშნულ მიზეზით გაფიცვისა.

* * *

ოსი ეროვნების მოქალაქეებთან საუბარში ირკვევა რომ იმ უბედურებაში რაც მათ თავს დაატყდათ დიდი წვლილი მიუძღვის რუსეთის მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს, განსაკუთრებით ტელევიზიას. ჩვენ ვიცით რა ხდება ცხინვალის შემოგარენ ქართულ სოფლებში აცხადებენ ისინი, მაგრამ რუსეთის ტელევიზია ისეთ ინფორმაციებს გადმოსცემს გვგონია წუთი-წუთზე დაგვბომბავენ. აღსანიშნავია რომ ოსები არც საქართველოს ტელევიზიას სწყალობენ. მაგალითად გვ-25 ტიპის თვითმფრინავის შეძენის ფაქტი წმინდა წყლის სიცრუეთ მიაჩნიათ. არც ჩვენ და არც აფხაზებს ასეთ ტექნიკას არავინ მოგვცემსო.

* * *

აფხაზეთში გუდაუთელი სეპარატისტების მხარეს იბრძოდა ოსური ე.წ. მოხალისე ბატალიონი, რომელმაც სერიოზული დანაკარგები განიცადა. ახლა ოსები აფხაზეთში აღარ არიან.

* * *

ტორეზ კულუმბეგოვმა მოითხოვა შესაბამისი სამსახურების ხელმძღვანელებს ქალაქიდან გაეყვანათ ბავშვები, რაზეც მათგან უარი მიიღო. თუ რაში სჭირდება სკოლების ევაკუაცია ოსთა ლიდერს ძნელი ამოსაცნობი არ უნდა იყოს...

**მერაბ მაისურაძე**

# მორფინისტის აღსარება

მორფინისტის აღსარება ოსები იძლევიან ნარკოტიკებს ჩვენს მოსასპობად!

ჩვენ ვაძლევთ ფულს (იარაღს) ჩვენს მოსასპობად?!

ბევრს ალბათ ახსოვს ერთი „წვერებიანი" ანეკდოტი, — ჭიჭიკიას თუ იცნობო კაცს რომ ჰკითხეს, და რომელს, ჟიგული რომ არ ჰყავსო! ამ ანეკდოტის დასკვნითი ნაწილის დღევანდელი პერიფრაზი ასეთი იქნება — რომელს, ნარკომანი რომ არ არისო?

ამ ორ ანეკდოტს შორის, თუ პირველში აშკარა გაზვიადებაა, სამწუხაროდ, იგივეს ვერ ვიტყვით მის პერიფრაზზე — საქართველოში ბოლოხანს ნარკომანია და ნარკობიზნესი არნახულად განვითარდა.

* * *

რედაქციაში ყოველდღიურად სხვადასხვა მიზეზით ათასი ჯურის, ზნისა თუ პროფესიის ადამიანი მოდის. ამის გამო აღარ გვიკვირს, არც ძალიან უბედურ და არც ძალიან ბედნიერ ადამიანთან შეხვედრა. მიუხედავად ამისა, ნათქვამია „სიბერემდე სიქაჩლეო" — ცოტა არ იყოს, მაინც გაგვაოცა ახალგაზრდა კაცის სტუმრობამ, რომელმაც ყოველგვარი შესავლის გარეშე განგვიცხადა — ნარკომანი ვარ და აღსარების სურვილმა მომიყვანაო.

სტუმარს სკამი შევთავაზეთ.

— ერთ რამეზე უნდა შევთანხმდეთ ჩემი ვინაობა საიდუმლოდ უნდა დარჩეს, ნარკობიზნესმენებს, როგორც იტყვიან, გრძელი ხელები აქვთ. მათ საქმეში ხელის ფათურს არ მაპატიებენო.

აღსარება რომ გითხარით, ალბათ ფიქრობთ, მოსანანიებლად მოვედი. ერთი წუთითაც არ ვდარრდობ მორფინისტი რომ ვარ. ამაზე მე მკაცრად ჩამოყალიბებული ფილოსოფია მაქვს, მაგრამ დღეს რაც ხდება იმაზე ვერ გავჩუმდები — ქართველი ერი იღუპება, ახალგაზრდობის უმეტესობა ნარკოტიკებითაა გაბრუებული თუ დღესვე არ ჩამოვკარით საგანგაშო ზარი შეიძლება მერე ძალიან გვიან იყოს.

იცით პროფესიონალ ნარკომანს თვეში რამდენი მანეთის, და არა კუპონის, მორფი სჭირდება?

— ?

— სამასიათასი მანეთის. საერთო ჯამში ათეულ მილიარდობით მანეთი იხარჯება. ამ თანხის პროდუქტი, რომ შემოვიტანოთ საქართველოში აღარავინ იქნება მშიერი.

— გაგახარათ ღმერთმა. ამას რაღა ემჯობინება, მაგრამ როგორ ფიქრობთ. ამ პრობლემის გადაწყვეტას?

— მთავრობამ უნდა გაამკაცროს კანონი.

— ნარკომანები დაიჭიროს?

— ამით პრობლემა არ მოიხსნება. დაუნდობელი ბრძოლა უნდა გამოვუცხადოთ ბარიგებს და რაც მთავარია საიმედოდ უნდა ჩაიკეტოს საზღვრები. ამას მაფიქრებინებს ის რაც პირადად ვნახე, და ისიც, რაც სხვა ნარკომანებისგან გამიგია. სწორედ ამიტომ გეახელით. ამ რამდენიმე დღის წინ მეგობრებთან ერთად ვიყავი ნარკოტიკების შესაძენად ეგრეთ წოდებულ სამხრეთ ოსეთში. იქ გრამი წამალი ხუთი ათასი მანეთი ღირს, ორჯერ ნაკლები ვიდრე ჩვენთან.

— როგორ მოახერხეთ შესვლა, იქ ხომ, როგორც ქართველთა, ისე ოსთა პიკეტებია?

— ოსების სოფელ გრომში შევედით სოფელ მეჯვრისხევიდან. ამ უკანასკნელში ის თავში გორის პოლიციელები დგანან, ხოლო ბოლოში მეჯვრისხეველებს აქვთ პიკეტი მოწყობილი, მაგრამ ჩვენთვის, ნარკომანებისთვის, ეს დაბრკოლება ად ა... ლი გადასალახავი... ფულით.

...აბა ამენებულან მეჯვრისხეველები და დაქცეულა საქართველო. მაინც რამდენია „სტავკა"?

— გააჩნია რამდენი გრამი ნარკოტიკი უნდა შეიძინოთ. მოტყუება იმდენად მკაცრად ისჯება, რომ ამ მხრივ სრული ურთიერთგაგებაა. სერვიზი აქ უაღრესად მაღალ დონეზეა. კლიენტის სურვილს მაქსიმალურად ითვალისწინებენ. გნებავთ თვითონ გადმოგიტანენ ნარკოტიკს, გნებავთ ერთ-ერთ მოპიკეტეს გამოგაყოლებენ. თუ ძალიან გიჭირთ ადგილზევე გაგიკეთებენ წამალს. ამას ძალიან ოსტატურად აკეთებენ. უმეტესი მათგანი ხომ ნარკომანია.

— ოსი მოპიკეტეები უფრო მეტ ქრთამს იღებენ თუ ქართველები?

— აი სწორედ აქ მარხია ძაღლის თავი. ისინი ამ სამსახურში კაპიკსაც არ იღებენ. მათთვის მთავარია ქართველებს მწვანე შუქი გვქონდეს, რათა, რაც შეიძლება, მეტი ნარკოტიკი შევიძინოთ. თვითონ ოსებში, რამდენადაც ვიცი, იშვიათია ნარკომანები. ეს არის უაღრესად კარგად ორგანიზებული ვაჭრობა. აქ მთავარი ისაა, რომ ჩვენი ფული ხმარდება ჩვენსავე წინააღმდეგ იარაღის შეძენას.

ახალგაზრდა კაცმა, რომელმაც ნარკოტიკი მოგვყიდა, ძალიან თბილად მიგვიღო. ისიც კი გვითხრა — რა გვაქვს ერთმანეთთან სამტრო და გასაყოფიო.

ჩვენს იქ ყოფნაში, სულ რაღაც ნახევარ საათში, ათამდე მანქანა შემოვიდა. მოგეხსენებათ მანქანების ნაწილიც ნარკოტიკებში იცვლება. მათი ფასი 200—250 გრამი მორფია. ყველაფერი ეს კი ჩვენი პოლიციელებისა და მეჯვრისხეველი ახალგაზრდა მოპიკეტეების ხელისშეწყობით ხდება. სამწუხაროა ისიც რომ მოპიკეტეთა ეს ჯგუფი მთელს სოფელს ატერორებს. თქვენ როგორ ფიქრობთ, ამის შესახებ მარტო ნარკომანებმა ვიცით ამ ნარკობიზნესით, უფრო ... ვით, მთავრობაშიც არიან დაინტერესებულები. სხვა შემთხვევაში მათი გამოვლენა სამართალდამცავი ორგანოებისთვის იოლია. იგივე თქვენც შეგიძლიათ გააკეთოთ, თუ ჩვენი მარშრუტით გაემგზავრებით და განაცხადებთ რომ ნარკოტიკების შეძენა გსურთ. მხოლოდ სათანადო ფულიც უნდა გქონდეთ.

მე დღეს მეჯვრისხეველებზე გადავტეხე ჯოხი, თორემ ანალოგიური სიტუაციებია აბსოლუტურად ყველა საზღვარზე. ადრე მე რამდენჯერმე ვყოფილვარ ნაზრანში და კიროვაბადში, თუმცა მაშინ საკმაოდ იაფი იყო, გრამში 30 მანეთს ვიხდიდით.

ჩემთვის ერთი რამე ცხადზე უცხადესია, გარეშე მტერს ჩვენი გენის დაკნინება-დაავადება უნდა. (ამისათვის მათ სპეციალური სამსახურებიც კი ჰქონიათ), მაგრამ ჩვენ რატომ ვუწყობთ ხელს? ყველაფერი ეს კი იმიტომ ხდება რომ ყველა, ვისაც მისი აღკვეთა ევალება, თავის წილს იღებს. ეხლა მე გკითხებით ნარკომანები უფრო დიდი დამნაშავეები არიან, თუ ის ხელისუფლების წარმომადგენლები, რომლებიც საკუთარი ჯიბის გასასქელებლად რუსთა პოლიტიკის გატარებას უწყობენ ხელს.

კიდევ ერთი რამე მინდა ვთქვა. დღეს საკუთარი შემოსავლით ნარკოტიკს დაახლოებით ათი პროცენტი ყიდულობს დანარჩენი მის შესაძენად ქურდობს და ყაჩაღობს. გატაცებული მანქანების უდიდესი ნაწილი მორფში იცვლება, თუმცა ამაზე უკვე ვთქვით.

...

— თქვენ საუბრის დასაწყისში ფილოსოფია ახსენეთ.

— არ ვიცი ამაზე ღირს თუ არა ლაპარაკი, როცა ერი კატასტროფის წინაშე დგას, მაგრამ ის უნდა მეთქვა რომ ჩემი ღრმა რწმენით ნარკომანობა იგივეა რაც ალკოჰოლის მიღება. თუ ზომიერად დალევ ჯანმრთელობისთვის არაა მავნე. აქაც იგივეა „ლომკებამდე" არ უნდა მიიყვანო საქმე.



— თქვენ დიდი ხანია კაიფობთ?

— მალე ოცი წელი შემისრულდება.

— თქვენმა შვილებმა რომ იკაიფონ არ დაუშლით?

— ჩემი შვილები ამას ვერ გააკეთებენ, ვერ გამომაპარებენ.

— მე სულ სხვა რამე გკითხეთ.

— ჩემმა შვილებმა რომ გაიკეთონ, ჩემზე დიდი მტერი არ ეყოლებათ. სამწუხაროდ მე არა ერთი ფაქტი ვიცი მამა-შვილი, ცოლ-ქმარი ერთმანეთს რომ უშხაპუნებენ. ყველა მათ კედელთან მივაყენებდი.

— მეუღლე როგორ იტანს თქვენ მორფინისტობას?

— თავს ზევით ძალა არა აქვს.

— როდესაც იკეთებთ მუშაობა თუ შეგიძლიათ?

— გონებრივად კი, ფიზიკურად რა მოგახსენოთ. კაიფს ხომ არ გავიფუჭებ.

— სტატისტიკურად ნარკომანების დიდი ნაწილი იმპოტენტია. ნუთუ ღირს ამისთვის ქალის სიყვარული და ალერსი დაიკლო.

დაფიქრდა.

— თქვენ ეტყობა არასოდეს გამოგიცდიათ, თორემ მაგას არ მეტყოდით.

დასასრული მე-8 გვერდზე

დასაწყისი 1 გვერდზე

# „ესენგე"-ში რა გინდოდათ, თუ გალახვა არ გინდოდათ, თუმცა გასალახავები ჟურნალისტებს აქეთ სცემენ...

პარლამენტის მუშაობაში რეორგანიზაციის შეტანა და სახელმწიფოს მეთაურისაგან მთავრობის კაბინეტის მუშაობაზე პასუხისმგებლობის აღება.ეს უკანასკნელი მოთხოვნა შევარდნაძის იმ განცხადების ფონზე, რომ ამიერიდან ის ქვეყნის ეკონომიკას თავისი სამუშაო დროის 90 პროცენტს დაუთმობს სრულიად საფუძვლიანია.

კრიტიკული შენიშვნები, როგორც მთავრობის ისე უშუალოდ შევარდნაძის მისამართით გაისმოდა ჭავჭავაძის საზოგადოების განცხადებაში და მამულის ალორძინების საზოგადოების თავმჯდომარის თ. მდინარაძის გამოსვლაში.ოდნავ გამოაცოცხლა სხდომათა დარბაზი საქართველოს ვიცე-პრემიერის ა. მარგიანის მოხსენებამ. ეს ალბათ გამოწვეული იყო როგორც მისი ოდიოზური გამოთქმით, დსთ-ში შესვლასთან დაკავშირებით ისევე იმ ინციდენტით რაც მის სამდივნოში ჟურნალისტებთან ურთიერთობისას მოხდა. საქართველოს კომპარტიის ლიდერი ერთხანს მოსკოვში გორბაჩოვთან საჭიდაოდ გაგზავნას ითხოვდა.. ახლა ეტყობა წონით კატეგორიებში დიდმა განსხვავებამ იმედი გადაუწურა და რუსეთის გუნდში მეათე ნომრად ყოფნაზეც თანახმაა.ყოველ შემთხვევაში იმ დოკუმენტებზე რომელშიც 9 სახელმწიფოს ეკონომიკურ თანამშრომლობაზეა საუბარი რიგით მეათედ ხელით არის მიწერილი „ზა გრუზიუ" და მარგიანის ფაქსიმილე დეპუტატებმა უხერხულად ჩათვალეს დეპუტატის არყოფნის გამო მასზე საუბრის გაგრძელება, თუმცა როგორც ჩანს ეს კეთილშობილური ჟესტი რიტომღაც შევარდნაძეზე არ ვრცელდება და სახელმწიფოდან მისი ყოველი გასვლა, გადადგომის მოთხოვნით მთავრდება. მარგიანს ამერიკიდან დაბრუნების შემდეგ მოუწევს პარლამენტთან ხალიჩაზე შეხვედრა, ასევე როგორც რუსეთში საქართველოს ელჩს ადვაძეს.მისი განცხადება რუსეთის ტელევიზიით ჩვენ გვინდა დსთ-ში, მაგრამ ხალხს არ უნდაო არანაკლებ ოდიოზური იყო. მით უმეტეს,რომ რუსეთი არ მალავს-ეკონომიკური კავშირები უნდა დაიდოს მისი ინტერესების ..ათვალისწინებით და გამოიწვევს შემავალი ქვეყნების სუვერენიტეტის ნაწილობრივ შეზღუდვას

ერთი რამ ცალსახაა, მთავრობის გადადგომა ისევე როგორც პარლამენტის მუშაობაში ცვლილებების შეტანა მომწიფებულია ამაზე მეტყველებს სხდომის დაწყების წინ პარლამენტის შენობასთან გამართული ჯერ-ჯერობით აქციანი მიტინგი. მოშავალი გაძვირება ასეთი სტილით მომუშავე ხელისუფლებას წალეკვით ემუქრება. საქართველოში კატასტროფულად მ... ტულობს იმ ადამიანთა რიცხვი ვისაც დასაკარგი აღარაფერი აქვს.

მერაბ მაისურაძე







დასაწყისი 1 გვერდზე

# კუპონებს რომ კურსი ავუწიოთ, დავადგინოთ — ქრთამის მიცემა მხოლოდ კუპონებით...

ლა.

მათგან არაფერს ვითხოვთ, გარდა ერთისა, ხელს ნუ გვიშლიან მუშაობაშიო...

დირექტორმა აღნიშნა, რომ არიან ძალები, რომელთაც სურთ როგორც მსუქანი ნაჭერი ხელთ მოიგდონ ჩვენი ეროვნული სიმდიდრე, საავიაციო ქარხანა, დაშალონ, დაანაწილონ და შემდეგ ნაჭერ-ნაჭერ მოახდინონ მისი პრივატიზება.

ა. ხოფერიამ სთხოვა დარბაზს არ ყოფილიყო პოლიტიკაზე საუბარი და საერთოდ საავიაციო ქარხანა პოლიტიკური დებატებისათვის ჩაკეტილ ზონად გამოაცხადა. მან მოიშველია ერთი გერმანელის გამონათქვამი — 1945 წელს დანგრეული გერმანია გადაარჩინა იმან, რომ გერმანელებმა ფიცი დადეს — არც ოჯახში, არც სამსახურში არ ყოფილიყო სიტყვა პოლიტიკაზე.

დირექტორის თხოვნას ბ-ნი ნოდარი „დამორჩილდა" და საუბარი დაიწყო იმ სოციალურ ვითარებაზე, რომლის უკუსვლას მნიშვნელოვანწილად განაპირობებს ობიექტურის გარდა სუბიექტური მიზეზები. ზოგიერთ ხელმძღვანელ პირთა არაკომპეტენტურობა, რუსეთის ეკონომიკური აგრესიისადმი ინერტულობა. კუპონისადმი არასახელმწიფოებრივი დამოკიდებულება და ა. შ.



შეკრებილ მუშა-მოსამსახურეთ, როგორც ჩანს, ნოდარ ნათაძისაგან უფრო პოლიტიკურ პრობლემებზე სურდათ საუბრის მოსმენა და ჯიქურ დაუსვეს რამდენიმე „ჩამჭრელი" კითხვა.

მაგალითად, რა აზრისა ხართ დეკემბერ-იანვრის მოვლენებზე.

აფხაზეთის ომზე:

პარლამენტსა და მთავრობაში მოკალათებულ მაფიოზურ ძალებზე და სხვა. ეს კითხვები თავდაპირველად შეურაცხმყოფელი ტონითაც კი იყო დასმული.

მაგრამ ორატორის პასუხების შემდეგ გაირკვა,რომ ნოდარ ნათაძე განტევების ვაცად ვერ გამოდგებოდა ყოველმხრივუპირობით, უსახსრობით სამართლიანად გაღიზიანებული აუდიტორიის წინაშე, რის შედეგადაც ბატონ ნოდარს პიროვნულად პატივისცემა და სიყვარული გამოუცხადეს. ზოგადად კი მათი საჩივრები საფუძვლიანი ჩანდა...

მუშები მოითხოვდნენ პასუხს ვინ არის მთავარი დამნაშავე ყველაფერ იმაში რაც ჩვენს თავს ხდება.

— ნ. ნათაძე: დამნაშავე იმდენია დილამდე ვერ ჩამოვთვლი.

ბოლოს დარბაზი ისევ სოციალურ საკითხებს დაუბრუნდა.

კუპონების დევალვაციაზე გაავებული მსჯელობისას დარბაზი ერგვარად განმუხტა ორატორის ხუმრობამ:

კუპონებს რომ კურსი ავუწიოთ, დავადგინოთ რომ მექრთამეთათვის ქრთამის მიცემა მოხდეს მხოლოდ კუპონებითო.

ერთ-ერთმა მუშ... ისაუბრა იმ მძიმე სურათის შესახებ, რასაც პურის რიგებში აქვს ადგილი. ხდება და... მკვლელობა. ასეთ დრო... სასომხეთისაკენ ყოველდ... რად გ... დის 4 მატარებ... რომელთაც მოჰყავს დიდ... ... სომხები დატვირ... ... ტომრებით. ყოვე... ... ად მატარებლებით 4-ხ... ... პური გაედინება.

ეს მოძმე უცხოელები მ... რიგი ლაშქარივით შემოესევიან ხოლმე პურის მანქანებს ... ნაყიდს იქ ჰყიდიან, ჩვენ ... ან მშიერი ვრჩებით ან ... მანეთს ვხოცავთ პურის ... შიო...

იმ დღეს სხვა... ... ითქვა გულისმომკვ... ... ფოფის შესახებ.

სტუმარ-მასპინძელნი მძიმე გუნებაზე დავშორდით უკეთესი დღის მოლოდინში...

ნ. თორელი

პარლამენტის სხდომებზე თითქმის პერმანენტულად ისმება საკითხი აღმასრულებელი ხელისუფლებისადმი ნდობა-უნდობლობის შესახებ. გასულ კვირაში იყო მოთხოვნა სახელმწიფოს მეთაურის გადადგომის შესახებაც.

ჩვენში, კაცმა რომ თქვას, ერთგვარ მოდაზე იქცა უნდობლობის ვოტუმის გამოყენება ცეცხლსასროლი იარაღივით.

ვინც ვისზე განაწყენდება უნდობლობის ვოტუმს ვითოყირივით იშველიებს.

მართალია „მსხვერპლი“ ჯერჯერობით არ ჩანს, მაგრამ ის დროც არ უნდა იყოს შორს, როცა რეპლიკები და გამოსვლები მთავრობისადმი უნდობლობის შესახებ, პრაქტიკულ ხორცშესხმას ჰპოვებს

ყოველივე ამას გვაფიქრებინებს არა ჩვენი პარლამენტის შეუვალობა და სიძლიერე, არამედ მინისტრთა კაბინეტის სიჭრელე და უსუსურობა.

რაკი ეს პრობლემა დღის წესრიგში დადგა, სასურველად მივიჩნიეთ გაგვეცნობიერებინა თუ როგორ დგას მსგავს სიტუაციებში საკითხი საკანონმდებლო და აღმასრულებელ ხელისუფლებას შორის დასავლეთის ქვეყნებში.

ამ მიზნით განმარტება ვთხოვეთ ახალგაზრდა იურისტს, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის IV კურსის სტუდენტს ზურაბ ადეიშვილს, რომლის პატარა წერილს აქვე გთავაზობთ და რომელშიც არის ერთი განსაკუთრებით საინტერესო დეტალი.

გერმანიაში თურმე უნდობლობის გამოცხადება იმ შემთხვევაში ხდება, როცა პარალელურად ახალი კანდიდატი გყავს და მისი მხარდაჭერა გარანტირებულია, ანუ მხოლოდ ახალი კანდიდატის არჩევის ფორმით ხდება ძველის გადაყენება. ანუ ჩვენებური, უფრო სწორად, გაჩვენებურებული ერთი სპარსული ანდაზა რომ მოვიშველიოთ, საკითხი ასე დგას. შაური რომ დაიწუნოთ, უზალთუნი უნდა გვიჩვენოთ...

მაშ ასე გთავაზობთ ქვემოთ წარმოდგენილ მასალას ახალი რუბრიკით.

!

## მულო შენ გეუბნებიან, რძალო შენ გაიგონეო... ანუ გამგებმა გაიგოს...

# უნდობლობის ვოტუმი

უნდობლობის ვოტუმი პარლამენტის მიერ აღმასრულებელი ხელისუფლების კონტროლის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საშუალებაა.

უნდობლობის ვოტუმის ინსტიტუტი ხელს უწყობს ხელისუფლების ორ რგოლს შორის მუშაობის კოორდინაციას, მთავრობის შრომისუნარიანობას. იგი საშუალებას იძლევა შეიცვალოს მთავრობის არასასურველი კურსი და თვით საკანონმდებლო ორგანოსთვის არასასურველი მთავრობა.

თუმცა, აღსანიშნავია რომ ზოგ შემთხვევაში უნდობლობის ვოტუმის გამოცხადების დროს არ არსებობს ახალი, უფრო შრომისუნარიანი მთავრობის ჩამოყალიბების შესაძლებლობა, რაც ქვეყანაში იწვევს საზოგადოებრივი ცხოვრების არასტაბილურობას, ნეგატიურად მოქმედებს მასზე.

სწორედ ამიტომ ე.წ. „ჩვეულებრივ“ უნდობლობის ვოტუმს ზოგიერთი სახელმწიფო სამართლის მკვლევარი დესტრუქციულსაც უწოდებს.

უნდობლობეს გამოცხადების ინსტიტუტის არსებობა ამა თუ იმ ქვეყნის მმართველობის ფორმასთან არის დაკავშირებული.

საპარლამენტო რესპუბლიკებში აღმსრულებელი ხელისუფლება აქმნება და არსებობას წყვეტს პარლამენტის ნებით.

საპარლამენტო რესპუბლიკებში უნდობლობის ვოტუმი ან საერთოდ არ არსებობს, ან დაშვებულია მხოლოდ ცალკეულ მინისტრებთან დამოკიდებულებაში (მაგ. კოსტა-რიკაში)

უნდობლობა შეიძლება გამოეცხადოს როგორც მთავრობას მთლიანად, პრემიერ მინისტრს, ისე ცალკეულ მინისტრებს; ამასთან, პრემიერ მინისტრისთვის უნდობლობის გამოცხადება იწვევს მთელი მთავრობის გადადგომას.

რაც შეეხება ცალკეულ მინისტრისთვის უნდობლობის გამოცხადებას, მან თავისი არსი დაკარგა იმის გამო, რომ ჯერ ერთი, ასეთ შემთხვევაში პრემიერმინისტრს უფლება აქვს ცალკეული მინისტრისადმი ნდობის საკითხის ნაცვლად დააყენოს მთავრობისადმი ნდობის საკითხი, და მეორეც, თუ ცალკეული მინისტრი ატარებს არასასურველ კურსს ან სჩადის არამართლზომიერ თუ ამორალურ საქციელს, არსებობენ ზეწოლის სხვა მექანიზმები (პოლიტ. ცხოვრების ტრადიცია, საზოგად. აზრი და სხვა.), რომლებიც აიძულებენ მას ითხოვოს გადადგომა მანამ სანამ უნდობლობის ვოტუმის საკითხი დაისმევა პარლამენტში.

ამის ნათელი დადასტურებაა ისიც რომ, ინგლისში ცალკეული მინისტრისთვის უნდობლობა 1805 წლიდან არ გამოუცხადებიათ.

სხვადასხვა ქვეყანაში უნდობლობის გამოცხადების სხვადასხვა ფორმა არსებობს. უმეტეს ქვეყნებში იმისათვის რომ მთავრობა გადადგეს, აუცილებელია პარლამენტში დაისვას საკითხი უნდობლობის ვიტუმის ან გაკიცხვის რეზოლუციის შესახებ. რიგ ქვეყნებში მთავრობა მაშინაც უნდა გადადგეს, თუ პარლამენტმა ინტერპელაციასთან დაკავშირებით მიიღო რეზოლუცია: რომელიც უნდობლობის ვრიტუმს შეიცავს. დიდ ბრიტანეთში კი მთავრობის მიერ დაყენებული ნებისმიერი საკითხისთვის თემთა პალატაში უარყოფა გათანაბრენბულია უნდობლობის გამოცხადებასთან.

უნდობლობის ვოტუმის საინტერესო ინსტიტუტი არსებობს გფრ-ში, სადაც იმ მიზნით რომ თავიდან აეცილებინათ ე.წ. „დესტრუქციული“ უნდობლობის ვოტუმის ნეგატიური შედეგები, განვითარებულ იქნა კონსტრუქციული უნდობლობის ვოტუმის დოქტრინა. რომლის არსიც ფედერალური კანცლერისადმი უნდობლობის ვოტუმის და მისი მემკვიდრის არჩევის განუყოფლობაში გამოიხატება: „ბუნდესტაგს შეუძლია ფედერალურ კანცლერს გამოუცხადოს უნდობლობა და მისი მემკვიდრის არჩევის და ფედერალური პრეზიდენტისადმი კანცლერის გადაყენების თხოვნის წარდგენის გზით. ფედ. პრეზიდენტმა უნდა დააკმაყოფილოს ეს თხოვნა და დანიშნოს არჩეული პირი (გფრ. ძირითადი კანონი მ-67). მიუხედავად იმისა, რომ ამ ინსტიტუტს აქვს ჩრდილოვანი მხარეებიც, კერძოდ, ჯერ ერთი, მას შეუძლია ხელოვნურად შეუნარჩუნოს არსებობა მთავრობას, რომელიც არ სარგებლობს პარლამენტის მხარდაჭერით. მეორეც მასში იმალება მთავრობის წინააღმდეგ პოლიტ პარტიების ბრძოლის არასაპარლამენტო ნიადაგზე გადატანის საშიშროება, იგი მაინც მნიშვნელოვანი სახელმწიფო-სამართლებრივი გაუმჯობესებაა სახელმწიფოს მართვაში პოზიტიური აღმშენებლობითი ტენდენციების დანერგვის გამო. ამ დოქტრინის თანახმად, შეუძლებელია შეიქმნას აგრესიული პარტიების ისეთი საპარლამენტო უმრავლესობა, რომელსაც მხოლოდ ის შეუძლია, რომ აიძულოს პრემიერ-მინისტრი გადადგეს, მაგრამ ჯერ კიდევ არ ფლობს შრომისუნარიანი მთავრობის შექმნის ძალას.

უნდობლობის ვოტუმის გერმანული დოქტრინის თავისებურებაა ისიც, რომ ძირითადი კანონის თანახმად არ შეიძლება ცალკეული მინისტრებისადმი უნდობლობის გამოცხადება. კონსტიტუციის ეს დებულება ერთი მხრივ ამაღლებს მინისტრის პოზიციებს ბუნდესტაგის მიმართ, მაგრამ მეორე მხრივ იგი უფრო მეტად დამოკიდებული ხდება ფედ. კანცლერზე, რაც ხელს უწყობს ერთი პოზიციების მქონე, კოორდინირებული მთავრობის შექმნას.

ზურაბ ადეიშვილი

რეპლიკა

# ლინჩი ჩვენებურად

საპარლამენტო საქმიანობისათვის მწვავე დებატები, შეხლა-შემოხლა და იშვიათად მუშტიკრივიც, სულაც არაა უცხო. ამის ფონზე საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის ცხოვრებაში უცნაური და საკვირველი არაფერი ხდება. სამაგიეროდ პარლამენტის ზოგიერთი ექსცესი გარეთ სულ სხვა შეფერილობას იძენს და მასზე გარეთ სულ სხვა შეფერილობას იძენს და მასზე რეაგირება ვერაფრით ეტევა ცივილიზებული ქვეყნის ცხოვრების ნორმებში.

საკმარისია პარლამენტში მწვავედ ითქვას ტაბუდადებულ სახელმწიფო მოღვაწესა ან უმაღლეს ხელისუფალზე და იწყება მოსახლეობის „აღელვების“ ინსცენირება, მიტინგები, კოლექტიური წერილები. ამ დროს კი, როგორც წესი ანათემას ეძლევა პარლამენტარი, ვინც გაბედა და სტერეოტიპის დარღვევა სცადა. ასე იყო ამ ორი თვის წინათ და ასე მოხდა სულ ახლახან. მოკლედ ხდება ის, რაც ხდებოდა კომუნისტური წყობილების დროს, რამაც პარლამენტის სპიკერს ბ-ნ ვახტანგ გოგუაძეს კონკრეტულ სიტუაციაში სამართლიანად ათქმევინა-“ასეთი დაცვა არ გვჭირდება“-ო.

სულაც არ ვფიქრობთ, რომ ამგვარი რადიკალური გამოსვლების დროს არ ირღვევა გარკვეული ნორმები. მაგრამ ამის გასარკვევად პარლამენტში სპეციალური კომისიაა და რახან ეს კომისია ამგვარ ფაქტებზე არ რეგირებს, ეს ცალსახად იმაზე უნდა მიანიშნებდეს, რომ საგანგაშო არაფერი მომხდარა.

დამაფიქრებელია, რომ ასეთი გამოსვლებისათვის პარლამენტის ზოგიერთი წევრი კონსტიტუციური მექანიზმის ამოქმედებას კი არ მოითხოვს, არამედ თავის კოლეგას ყოვლად მიუღებელი ეპითეტებით ამკობს. ლაპარაკია აგრეთვე ასეთი პარლამენტარის გაწვევაზე. ეს კი წინა ხელისუფლების განწყობის აჩრდილია, რამაც არაა გამორიცხული ახალი კონფრონტაცია გამოიწვიოს, მოკლედ იწყება ჩვენებური ლინჩი, რასაც არა გვგონია რაიმე სასიკეთო რამ მოყვეს.

დასასრულს კი უნდა ითქვას, რომ, თუკი ვაპირებთ დემოკრატიული საზოგადოების აშენებას, მაშინ ყველამ კეთილი ვინებოთ და ყოველი ქმედება ცივილიზებული ქვეყნის პრინციპებით შევაფასოთ და ამაზე პასუხიც მხოლოდ კანონის ფარგლებში მოვითხოვოთ. ამგვარ ფაქტებზე პოსტკომუნისტური რეაგირება და მითუმეტეს ამ დროს ლინჩის მოთხოვნა, თუნდაც ეს ჩვენებური ლინჩი იყოს, დაუშვებელია, რადგანაც ყოველგვარი თანამედროვე ლინჩი საზოგადოების დაცემისა და ქვეყნად განუკითხაობის დამკვიდრების მაუწყებელია.

მიხეილ მახარაძე.



ჰუმანიტარული დახმარება

# შეჭმას გადარჩენილი მთვარე

ჩინეთში, მსოფლიოს ამ სუპერგიგანტ სახელმწიფოში, საქართველოს დელეგაციის ვიზიტმა პოლიტიკური წრეების, და არა მარტო მათი, ცხოველი ინტერესი გამოიწვია. ამის შესახებ საკმაოდ ბევრი ითქვა და დაიწერა კიდეც, მაგრამ ინტერესი მაინც არ კლებულობს. სწორედ ამიტომ გადავწყვიტეთ შეგვეწუხებინა ცნობილი პოლიტიკური მიმომხილველი გივი ბოლოთაშვილი, რომელიც ჩვენს დელეგაციას ჩინეთში და ყაზახეთში ახლდა.

**— ბატონო გივი ჩინეთის ვიზიტმა ერთგვარად ჩრდილში მოაქცია ყაზახეთის ვიზიტი, რომელიც პოლიტიკურ-ეკონომიკური ეფექტით უაღრესად მნიშვნელოვანი იყო.**

— ვფიქრობ ამ მხრივ გული უგრძნობდათ ყაზახებსაც, რომლებმაც დაფარული წყენა გამოხატეს ჩვენი დელეგაციის სატრანზიტო ვიზიტის გამო. მე ყაზახეთში მიღწეული ხელშეკრულებების მნიშვნელობაზე აღარ შევჩერდები რადგან ამაზე ბევრი ითქვა. მხოლოდ იმას აღვნიშნავ რომ ასეთი ურთიერთობის დამყარება უაღრესად რთული პროცესია. ამას იმიტომ მოგახსენებთ რომ, სამწუხაროდ, ჩვენს პოლიტიკურ წრეებშიც კი, ზოგიერთებს არ ესმით ის სირთულეები, რაც მსგავს ვიზიტებთანაა დაკავშირებული. ეს კიდევ ერთხელ გამოჩნდა ყაზახეთში, რომელიც ჯერ კიდევ არაა განთავისუფლებული რუსეთის გავლენისაგან. ამას ემატება ის დიდი ფაქტორიც, რომ აბორიგენი და რუსი მოსახლეობის რაოდენობა გათანაბრებულია (40%—40-ზე). ამ სტატუსკვოს ვერ არღვევს ისიც რომ შარშანწინ ეს ქვეყანა დატოვა ასიათასმა რუსმა. სამაგიეროდ, როგორც ზიარ ჭურჭელში ხდება. შარშან ჩამოსახლდა 86 ათასი რუსი. ჯერჯერობით მხოლოდ ერთი რამე მოახერხეს ყაზახებმა მაღალ, პირველ თანამდებობებზე ყაზახებს ნიშნავენ. მოადგილეებად კი რუს სპეციალისტებს. მიუხედავად ამოსა, ეს უკანასკნელნი მომენტს არ უშვებენ დიდი რუსეთის პოლიტიკის გასატარებლად. ეს ფაქტორი შეუიარაღებელი თვალითაც ჩანდა ჩვენი ვიზიტის დროს. სიფრთხილე ეტყობოდა ქვეყნის ლიდერს ნაზარბაევსაც, თუმცა ყოველივე ამას ხელი არ შეუშლია ხელშეკრულების რატიფიკაციისთვის. საგულისხმოა ისიც რომ ნაზარბაევმა სურვილი გამოთქვა მიიღოს მონაწილეობა აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარებაში. მანვე წამოაყენა წინადადება აგვისტოში ერთმანეთს შეხვდნენ საქართველოს, აზერბაიჯანის, ყაზახეთისა და სომხეთის სამთავრობო დელეგაციები.

**— ბატონო გივი კომუნისტურმა ჩინეთმა, ამ ქვეყნის ისტორიაში, არნახულ წარმატებას მიაღწია, ხომ არ გამოიყენებენ ამ ფაქტორს რუსი ნეოკომუნისტები თავისი სახელგატეხილი პარტიის რეაბილიტაციისთვის?**

— ძალიან მეეჭვება რომ ეს ასე მოხდეს. ჩინეთის მე-14-ე ყრილობამ კიდევ ერთხელ დაადასტურა რეფორმისტული კურსის ერთგულება. ქვეყანა წაიყვანა კერძო მეურნეობისკენ — იაპონური და სამხრეთ — კორეული გზით. ისე რომ, დღეს ყველასთვის ნათელია, კომუნისტური წყობის დღეები დათვლილია —

**იმის მიუხედავადაც რომ 1989 წელს, ანუ რეფორმების თითქმის შუაგულში, საკუთარი სტუდენტები არ დაინდეს?**

— სხვათაშორის დაახლოებით იგივე შეკითხვა ჩინეთში პრესკონფერენციაზე ბატონ ედუარდს დაუსვა „კომსომოლკის“ კორესპონდენტმა — რატომ ჩამოხვედით იმ ქვეყანაში სადაც ადამიანის უფლებები ირღვევაო. იგი სწორედ 1989 წლის ტრაგედიას გულისხმობდა. ბატონმა ედუარდმა კონტრშეკითხვა მისცა — თქვენ რომელი ჩინეთი გირჩევნიათ სტაბილური, თუ ისეთი სადაც ქაოსი იქნებაო.

ამ პასუხმა დიდი ეფექტი მოახდინა.

საბედნიეროდ დენ სიაო პინს ეყო სიბრძნე, რომ შედარებით ნაკლები მსხვერპლით გადაერჩინა თავისი ქვეყანა უფრო დიდი კატასტროფისაგან. მოგეხსენებათ რა ხდება დღეს ყოფილ კომუნისტურ ქვეყნებში.

**— თქვენი აზრით გორბაჩოვმა რატომ არ მოძებნა ის ჩინური ბილიკი, რომელიც კომუნისტურ ქვეყანას კაპიტალიზმის გზაზე გაიყვანდა?**

— გორბაჩოვმა გარდაქმნის გზაზე უამრავი შეცდომა დაუშვა, მაგრამ ისიც უნდა ვთქვათ, რომ ესეც არ ყოფილიყო მის ძალისხმევას ჩინური ეფექტი არ ექნებოდა, რადგან საბჭოთა კავშირისგან განსხვავებით ჩინეთი ერთიანი სხეულია. აქ გასათვალისწინებელია მათი ეთნოფსიქოლოგიაც. მათ ჩვენგან განსხვავებით შეინარჩუნეს შრომის კულტურა და ჩვევები. ასევე აუცილებელია იმის თქმაც, რომ ამ ეტაპზე ავტორიტალური რეჟიმი პირიქით ხელს უწყობს რეფორმების გატარებას. ტაივანმა და იაპონიამ ეკონომიკის მაღალ დონეს სწორედ ანალოგიური რეჟიმით მიაღწიეს.

**— ბატონო გივი ყველაზე ძალიან რამ გაგაოცათ ჩინეთში?**

— ალბათ გაოცდებით და მიღებამ — საქართველოს დელეგაციის უაღრესად მაღალ დონეზე მიღებამ. სხვათაშორის ამის შესახებ ჩინელებიც აღნიშნავდნენ, რადგან ჩვენამდე აქ სხვა ყოფილი რესპუბლიკების ხელმძღვანელებიც იყვნენ. ვიცი მავანს არ მოეწონება, მაგრამ აქ მთავარი ფაქტორი ედუარდ შევარდნაძის ფენომენი გახლდათ. ამის შესახებ უფრო ადრე საგანგებოდ გაუსვა ხაზი ნაზარბაევმაც. ჩინეთის სახელმწიფო მეთაურმაკი განაცხადა — ჩვენ გულმხურვალედ მოგესალმებით როგორც დამოუკიდებელი ქვეყნის მეთაურსო. მიუხედავად იმისა რომ ბატონი ედუარდი ჩინეთში მეხუთედ იყო, მანამდე უმეტესად მწვავე შეხლა-შემოხლა ჰქონდა კამბოჯისა და ვიეტნამის გამო.

**— ყოველივე ამის ფონზე ალბათ პარადოქსია რომ ამ დროს ჩვენმა ერთერთმა პარლამენტარმა, არც მეტი არც ნაკლები, შევარდნაძის გადადგომა მოითხოვა.**

— პოლიტიკა ჭადრაკსა ჰგავს, იგებს ის ვინც უფრო მეტ სვლას გათვლის. ამის უნარი, სამწუხაროდ ყველას არ შესწევს. ასეთები სპორტის ლოგიკით დამარცხდებოდნენ, მაგრამ პოლიტიკაში ასე არ ხდება, მავანნი ხალხის ემოციებზე თამაშობენ. სარგებლობენ ქვეყანაში შექმნილი გაჭირვებით და უკიდურესი დაძაბულობით და ცდილობენ დივიდენდები მოიპოვონ. მე, გასაგები მიზეზების გამო, წინააღმდეგი ვარ ადამიანის ფეტიშიზაციის, მაგრამ დარწმუნებით შემიძლია ვთქვა, რომ შევარდნაძის გადაყენება საქართველოსთვის საბედისწერო იქნება. თუმცა არ გამოვრიცხავ, რომ სათავეში შეიძლება ძალიან ჭკვიანი კაცი მოვიდეს. აქ საქმე იმაშია რომ ძალიან მაღალია შევარდნაძის მსოფლიო რეიტინგი. მისი გადაყენების გამო შეიძლება დასავლეთმა ზურგი შეგვაქციოს. ეს კი ლიბანიზაციის ჩიხში შეგვიყვანს.სულსწრაფებს ვეტყვი რომ ბატონი ედუარდი ყველაფერს აკეთებს თანდათან და მეთოდურად.

**—ბატონო გივი ჩვენმა საუბარმა შეუმჩნევლად შინაურ პრობლემებზე გადმოინაცვლა. მოდით ეს საკითხი ბარემ გარკვეულ წერტილამდე მივიყვანოთ. შევარდნაძის გადადგომის მოთხოვნის ძირითადი მიზეზი აფხაზეთის გაჭიანურებული ომია. მე ეს ომი ქართულ იგავ-არაკს მახსენებს, კაცი და დათვი რომ ჭიდაობდნენ, და მეგობარმა დაუძახა — თავი გაანებეო. მე კი ვანებებ მაგრამ, თვითონ არ მეშვებაო. კაცმა რომ უპასუხა**

— მართალი ბრძანდებით, ამაზე არაერთხელ ითქვა, რომ აფხაზეთში რუსი „გვეჭიდავება“. თუმცა მე ამ საკითხს ოპტიმისტურად ვუყურებ. ელცინის რუსეთი თავს დაგვანებებს. მას სხვა გამოსავალი არა აქვს. რადგან სეპარატიზმის პრობლემა მთელ მსოფლიოში დგას.საფრანგეთმა რომ აფხაზ-სეპარატისტებს დაუჭიროს მხარი კორსიკელებს ველარ გააჩერებენ. იგივე ითქმის ინგლისზე, იტალიაზე, ინდოეთზე. თვითონ რუსეთში 80 ომის კერა წარმოიშობა. მსოფლიო არასოდეს დაუჭერს მხარს სეპარატიზმს, რადგან იგი დაღუპვამდე მიიყვანს კაცობრიობას. სხვა საქმეა რომ რუსეთის მიმართ მომლოდინე ფრთხილ პოლიტიკას ატარებენ. თუმცა ძალისხმევას არ იშურებენ, რათა მისი რეაქციული ზრახვები შეასუსტონ — ლაგამი ამოსდონ.

ვფიქრობ რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის ჩამოსვლა ბევრ ბნელ საკითხს მოჰფენს ნათელს.

**— ბატონო გივი ისევ ჩინეთს დავუბრუნდეთ. პოლიტიკოსები ერთხმად აღნიშნავენ რომ იგი მომავლის ქვეყანაა. თქვენ როგორც პოლიტიკოსს გადაჭარბებულად ხომ არ მიგაჩნიათ ეს აზრი?**

— თუ ყველაფერი ჩინეთში მიმდინარე სცენარი წარიმართა 30 წელიწადში იგი პირველ ქვეყნად უნდა გადაიქცეს. ამის იმედს იძლევა უპირველეს ყოვლისა ჩინელის ფსიქოლოგია და მერე ის რომ მათ ფართოდ გაუხსნეს გზა უცხოელებს. ისინი იმოთაც დააინტერესეს რომ პირველი ორი წელი გადასახადისაგან გაანთავისუფლეს. ხუთი წლის განმავლობაში კი მხოლოდ 7% დაბეგრეს, რომელიც საბოლოო ჯამში 15%-ზე გაჩერდება.

აქვე სინანულით მინდა ვთქვა, რომ ჩვენთან უცხოელს მოგების 50—51 პროცენტს სთხოვენ. რაც დიდი შეცდომაა. კაპიტალისტი-მეწარმე ისე რატომ შეიწუხებს თავს თუ მოგება არ ნახა.

ჩინელები მოთმინებით ელოდებიან კეთილდღეობის გაუმჯობესებას, ჩვენ კი ერთბაშად გვინდა გამდიდრება.

დღეისათვის ჩინეთში მოქმედებს 15 საფეხურიანი სოციოლოგიური დაყოფა (სხვათაშორის ეს მეთოდი პეტრე პირველის დროინდელია) — რომელიც სამ კატეგორიად იყოფა: მაღალი, საშუალო და დაბალი. ამ კატეგორიებით ხდება ანაზღაურება. მინიმუმი ხელფასი 155 იენი, ანუ 25 დოლარია, ხოლო მაქსიმუმი — 1200 იენი ანუ 200 დოლარი.

უცხოელების მიზიდვამ შეუდარებლად აამაღლა მათი შრომის კულტურა. ჩვენ ბევრ ადგილას ვნახეთ 40—60 სართულიანი სახლების მშენებლობა და გაგვიკვირდა რომ ისინი ბადით იყვნენ შემორტყმულნი რომ სამშენებლო მასალები ან ადამიანი არ ჩამოვარდნილიყო, ერნ ესტაკადის სამშენებლო პოლიგონზე კი ბოძები, მტვერი რომ არ გაფანტულიყო, ტილოში იყვნენ გახვეულნი.

**— ჩინელების პრობლემებზე რას იტყვით?**

— მათი მთავარი პრობლემა ჭარბი მოსახლეობაა, რომელიც ყოველწლიურად 14 მილიონით იზრდება. თუმცა შობადობა კანონით შემცირებულია. მხოლოდ ეროვნულ უმცირესობებს აქვთ უფლება ორი ან მეტი შვილი იყოლიონ. გაეროს ექსპერტების გამოთვლით, ჩინეთისათვის 700—750 მილიონი ადამიანი იქნება ნორმა. ამის გარდა, ჩინეთში, სხვადასხვა მიზეზით საკმაოდაა სოციალური დაძაბულობები. პრობლემაა ისიც რომ მძიმე მრეწველობა საგრძნობლად ჩამორჩება მსუბუქს. სასურველი ტემპით არ მიმდინარეობს ძველი საწარმოების რეკონსტრუქცია, რაც ეკოლოგიურ საფრთხეს ქმნის. ამის გამო პეკინსა და დალიანს სმოგის ღრუბელი აწევს. ეროზიის გამო მცირდება სახნავი მიწები, წყალსაცავები, თუმცა ჩინელებს იმედი აქვთ რომ, თუკი მსოფლიოში მშვიდობა იქნება, ისინი ყველა პრობლემას მოერევიან.

**— რაიმე უხერხულება ხომ არ გიგრძვნიათ ვიზიტის პერიოდში?**

— არავითარი, ჩვენს დელეგაციას ყველგან პატივისცემითა და მოწიწებით ხვდებოდნენ. ჩვენში ერთადერთ უხერხულობას, თუ მაინცდამაინც გნებავთ რომ ეს სიტყვა ვუწოდოთ, იწვევდა ჩინური სამზარეულო. მოგეხსენებათ, ჩვენ როგორც პირდაპირ, ისე გადატანითი მნიშვნელობით, მაგარი პურისმჭამელი ხალხი ვართ, იქ კი, ჩვენდა სამწუხაროდ, პურს არ მიირთმევენ. სამაგიეროდ ამ „ნაკლს“ იმით ივსებენ რომ მათ სამზარეულოში ნახავთ ყოველივე მოძრავსა რაც დაფრინავს, დაცურავს და მიწაზე დადის, დაღოღავს. ჩინელებმა იხუმრეს მთვარესაც შევჭამთ, ასე შორს რომ არ იყოსო ცხადია ყველაფრის არა მაგრამ მოგვიწია ბამბუკის ყლორტებით შეხვეული ქათმის სუფისა და ზვიგენის ფარფლებისაგან დამზადებული შეჭამანდის გასინჯვამ.

სხვათაშორის, ჩინელთა მშვიდობიან ბუნებაზე აშკარად მეტყველებს ტრანსპორტის მშვიდი აუჩქარებელი მოძრაობა.იქ ქუჩები სამ ნაწილადაა დაყოფილი. ერთი მხარე დათმობილი აქვს მსუბუქ მანქანებს, მეორე საბარგოებს, ხოლო შუა ადგილი ბარდიურებითაა გამოყოფილი ველოსიპეტით მოსიარულეებისათვის. და კიდევ ერთი ყოველი სამი მანქანიდან ორი ტაქსია.

**— ბატონო გივი მოკლედ როგორ შეაფასებთ ჩინეთის ვიზიტის მნიშვნელობას?**

— ამ ვიზიტს ეკონომიკურზე მეტად პოლიტიკური მნიშვნელობა ჰქონდა — სუპერგიგანტმა სახელმწიფო — ჩინეთმა თანასწორუფლებიანი ხელშეკრულებები დადო პატარა საქართველოსთან. ეს კი აშკარა აღიარება და მხარდაჭერაა ჩვენი ქვეყნისა და გამოწვევა რუსეთის რეაქციული ძალებისა, რომლებიც იმედს არ კარგავენ უკუღმა დააბრუნონ ისტორიის ჩარხი. რაც შეეხება ეკონომიკურ ხელშეკრულებებს ეს ცხადია არანაკლებ მნიშვნელოვანია მთავარია როგორ გამოვიყენებთ. ამ ეჭვს ის მიძლიერებს, რომ უკრაინის მიერ გამოყოფილი 60 მილიონი მანეთის კრედიტი ჯერ კიდევ აუთვისებელია.

ესაუბრა
ჯემალ ქასრაძე



# “აქ მიწის გამო ორი კაცი როცა კვდება”...

ძვირფასო პარლამენტარებო, კანონმდებელი და აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლებო!.. ღრმესი მადლობა იმისათვის, რომ ნამდვილად დემოკრატიული გახდა ჩვენი პრესა, რადიო, ტელევიზია!.. დედიშენის შვილი იყავი, ამ რამდენიმე წლის წინათ, ასე ჰაიჰარათ მიგემართა ჩემნაირი დონის კაცს თქვენნაირი ჩინოსნებისათვის!.. ფამილიარულად მოგმართავთ — უშველეთ, მართლა უშველეთ საქართველოს!!!

დავიწყებ იმით, რომ მიწის პრივატიზაციის საკითხში კაი დიდი შეცდომა მოგივიდათ თავიდანვე, სეულობის (მამისეული, პაპისეული) პრინციპს რომ მიანიჭეთ შარშან პრიმატი. ზღვარიც (დროისმიერი!) ხომ არ დაგიდგენიათ სეულობის!.. ზოგს მამისეული ნაკვეთი აკმაყოფილებს და მოდავეც არავინა ჰყავს, ზოგი პაპისპაპისეულ ფართობს იჩემებს და არაფრად დაგიდევთ იმ ფაქტს, რომ იმ პაპისპაპისეულ ნაკვეთებზე დღეს, შესაძლოა, კაი ათი კომლი ცხოვრობდეს!.. რა ჩემი საქმეა, ადექით და აიყარენითო!.. აირია მონასტერი!..

ავად თუ კარგად, ბევრი შეხლა-შემოხლის შემდეგ, ზოგიერთ რაიონში მოგვარდა სეულობის პრინციპით მიწების დარიგება. დღეს ბრძანებთ, რომ სეულობა აღარ ჭრის, ვისაც გაპიროვნებული ან იჯარით ჰქონდა ნაკვეთი, მისი იყოსო!.. მე გეკითხებით თქვენ — რაღა ქნან მათ, ვინაც შარშანდელი დებულებით დაიმკვიდრა მიწა?!

მოკლედ, არის ერთი ალიაქოთი და ვაი-უშველებელი!.. არის სისხლიც, ყოვლად გაუმართლებელი, უგუნურად დაღვრილი სისხლი! როგორც ტელევიზიითაც შევიტყვეთ, ტყიბულის რაიონის სოფ. მუხურაში ძმამ — შალიკო აბესაძემ — სანადირო თოფით სიცოცხლეს გამოასალმა საკუთარი ძმა, ძმისშვილი და რძალი! ბიძაშვილმა ბიძაშვილი გაიმეტა!..

კიდევ ერთიც — მიწების დარიგება, ხშირად, ნათლიმამურად ხდება: თბილისში, იქ, ვინ რას გაიგებს, მე რომ შენ ერთი სამი-ოთხი ათასი მეტრი წამიმატოო! სამაგიეროდ (იმერულად — „მაგიორში!“), შენც მეტი მიიზომე, შენმა დედმამიშვილებმაც, ბიძაშვილდეიდაშვილებმაც!.. ვხნათ, ვთესოთ, მოვიწიოთ მოსავალი, ვთქვათ მერე (თბილისში სამასი მან. ყოფილა კილო ფქვილი!), ვწუროთ მოსაწური, ვკლათ საკლავი, ვწვათ მწვადები და... „ვაი შენ, ჩემო თეთრო ბატოო!“

ქალბატონო და ბატონო პარლამენტარებო, მინისტრებო, სამართალშემოქმედნო და სამართალდამცავნო, უშველეთ საქართველოს!.. უამრავი პრობლემა გაქვთ, გარეთა თუ შინა ომი, შიმშილი, მაგრამ ეს უკვე საოჯახო ომია და, თუ მთელი სისასტიკით არ აღმოვფხვრით ასეთ ტაციაობას, ასეთ განუკითხაობას, ირწმუნეთ — სოფლად მკვდრის დამმარხველი აღარ დარჩება!..

გ. მამასახლისი

# აფხაზეთის სამთავროს წარმოშობის საკითხისათვის

## არსებობდა კი აფხაზთა სამთავრო XVII—XVIII საუკუნეებში?

აბესალომ ტუღუში

XVII—XVIII საუკუნეთა აფხაზეთის პოლიტიკური ისტორია ერთობ ზერელადაა შესწავლილი. მართალია, ამის მიზეზი მნიშვნელოვანწილად წყაროების თვალშისაცემი სიმცირეა, მაგრამ დღემდის მოღწეული მწირი წერილობითი წყაროების ღრმა და ყოველმხრივი დამუშავება და ერთმანეთთან შეჯერებაც კი იძლევა აფხაზეთის პოლიტიკური ისტორიის მთელი რიგი დღემდის სავსებით ბუნდოვანი საკითხებისათვის ნათელის მოფენის საშუალებას.

ქართულ (და მითუმეტეს აფხაზურ) საისტორიო მეცნიერებაში ურყოფო და გაზიარებული აზრი XVII—XVIII საუკუნეებში აფხაზეთის სამთავროს არსებობის შესახებ. ვფიქრობ, ეს არის საკითხის ღრმად შესწავლის გარეშე, ზედაპირულად გაკეთებული დასკვნის შედეგად არა თუ რიგით მკითხველთა, არამედ მკვლევარ-ისტორიკოსთა ცნობიერებაშიც კი საკმაოდ მყარად ფესვმომაგრებული შეხედულება. ამაში დამარწმუნა (და ვგონებ მკითხველებსაც დაარწმუნებს) XVII—XVIII საუკუნეთა და XIX საუკუნის დამდეგის ყველა ხელმისაწვდომი წერილობითი წყაროს (მატიანეების, დოკუმენტების, ეპიგრაფიკული მასალის, უცხოელ მოგზაურთა დღიურებისა და მოხსენებების) დაწვრილებითმა და ღრმა შესწავლამ.

აფხაზეთის სამთავროს წარმოშობას მკვლევარები XVII საუკუნის დამდეგს აკუთვნებენ. ასეთი შეხედულების იყო, მაგალითად, პროფესორი ირაკლი ანთელავა, რომელმაც ცალკე წიგნი უძღვნა ამ ხანის აფხაზეთის ისტორიას. აფხაზეთის ისტორიის ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო მკვლევარი პროფესორი ზურაბ ანჩაბაძე ფიქრობდა, რომ სამეგრელოს სამთავროდან აფხაზეთის გამოყოფისათვის საუკეთესო ნიადაგი არსებობდა ოდიშის სამთავროს მმართველის გიორგი ლიპარტიანის მიერ 1615 წელს თურქეთის წინააღმდეგ გაჩაღებული ბრძოლის დროს. პროფ. ილია ანთელავას აზრითაც, „ოდიშისაგან დამოუკიდებლობა აფხაზეთს ლევან II დადიანის მცირეწლოვნობის დროს უნდა მიეღო, როცა ოდიში და გურია ოსმალეთთან დავით იყვნენ გართულნი."

პროფ. შალვა ინალ-იფას აზრით, XVII საუკუნის დამდეგს აფხაზეთი თითქმის დამოუკიდებელ სამთავროდ იყო ქცეული და ის იმერეთის სამეფოს ქვეშ ალი ნომინალურად იყო. ერთიანი და სრულიად დამოუკიდებელი აფხაზეთის სამთავრო კი, მისი აზრით, XVII საუკუნის 80-იან წლებში ჩამოყალიბდა.

მაგრამ, როგორც ირკვევა, არცერთი ზემოთ გადმოცემული მოსაზრება სწორი არაა. სწორი არაა, ჯერ ერთი იმიტომ, რომ, როგორც ქვემოთ დავრწმუნდებით, აფხაზეთის სამთავრო, როგორც ასეთი, XIX საუკუნის დამდეგამდე არ არსებულა, და მერმედ იმიტომ, რომ ქართული და უცხოური წყაროების მონაცემებით აფხაზური სათავადოები და თემები ოდიშის მთავრის ხელისუფლების მაღიარებელი ჩანან XVII საუნის სამოციანი წლების შუა ხანებში და დადიანის მოხარკეები XVIII საუკუნის მეორე ნახევარში.

ცნობილია, რომ ლევან II დადიანმა ორგზის დალაშქრა აფხაზეთი და ორივეჯერ სასტიკად დაამარცხა აფხაზ თავადთა რაზმი. პირველი ლაშქრობის მიზეზი ის იყო, რომ დასწამა რა თავის თანამეცხედრეს სეტემან შარვაშიძის ასულს, დედოფალ თანურიას მრუშობა, მოაჭრა მას ცხვირი და ლაშქრით აფხაზეთში შევიდა, რათა თანურია სირცხვილეულად გადაეცა მამისათვის. მაგრამ შეშინებულმა სეტემან შარვაშიძემ თვისტომნი მთებში გახიზნა, ლევან დადიანმა კი, არქანჯელო ლამბერტის თქმით, „ცეცხლითა და მახვილით გაანადგურა ყოველივე".

ეს მოხდა 1622 წელს.

აი, ამის შემდეგ დაიწყო აფხაზთა ამბოხება და თავდასხმები მეზობელ მეგრელენოვან სოფლებზე. ა. ლამბერტისავე ცნობით, აფხაზები „სულ თავს ესხმოდნენ სამეგრელოს საზღვრებს, რომელიც თითქმის მთლიანად მოაოხრეს, მცხოვრებლები დაატყვევეს და აფხაზეთში გადაასახლეს".

ლევან II დადიანმა 1628 წელს ხელახლა დალაშქრა აფხაზეთი, რათა მისი მორჩილებიდან გამოსული და მტრად მოკიდებული აფხაზური სათავადოები და თემები საკადრისად დაესაჯა და კვლავ დაემორჩილებინა.

ამ და წინა ლაშქრობის შესახებ თვითონ ლევან II მოგვითხრობს ილორის ხატის წარწერაზე:

„მას ჟამსა ოდეს მიუხედით შარვაშიძეს ზეფუს, მუწუს წყალს აქეთ ავაოხრეთ, კიდევ მეორედ მიუხედით ზუფუს და სადაცა სიმაგრე იყო ავიღეთ, გავაცუდეთ და კაპოეტის წყალზედ შემოგუებნეს ზუფუარი და სიხუარი მარშანიები და გაგვემარჯვაო" — წერს ის.

ა. ლამბერტის ცნობით, ოდიშის მთავარს „აფხაზებმა მორჩილება გამოუცხადეს, ხარკი იტვირთეს" (ა. ლამბერტი, სამეგრელოს აღწერა. თბ. 1938. გვ. 22). ამ ცნობის სიწორეს ვახუშტი ბაგრატიონის (1696—1757) ცნობაც ემოწმება. „ხოლო დადიანმა ლევან განიწყო სპანი და მოიწყნა აფხაზნი ვიდრე დაპყრობამდეო" — წერს ის 1628 წლის ლაშქრობის შესახებ (ქართლის ცხოვრება. IV. გვ. 828).

ის, რომ შარვაშიძეთა სათავადო, რომელიც ბზიფის აფხაზეთს მოიცავდა (და რომელსაც მეგრელები ზუფუს ეძახდნენ), სამეგრელოს უბრალო მოხარკე კი არა, უშუალოდ ამ სამთავროში შემავალი ერთეული იყო, კარგად ჩანს ფეშანგი ამირაშვილ-ხითარიშვილის თხზულებიდან „შაჰნავაზიანი", რომელიც 1664 წელს დაიწერა. ფეშანგი ერთგან ლევან II დადიანზე ამბობს:

**აფხაზეთი დაუჭირავს ხარაჯისა მოსართმევლად,**
**ზაფხულ ზუფუს მივიდოდის, იქი იყუის ხანდაზმულად,**
**ჯიქისა და ალანისა დაუდგომლად სისხლის მღურელად**
**ორგულთათვის მავნებელი, ერგულთათვის კარგის მქნელად.**

(ფაშანგი, შაჰნავაზიანი. თბ. 1935. გვ. 84).

ლევან II დადიანის გარდაცვალებისთანავე აფხაზებს, როგორც იტალიელი მისიონერის ანდრეა ბორომეოს 1658 წლის მოხსენებიდან ჩანს, უცდიათ ოდიშის სამთავროსაგან დამოუკიდებლობის მიღწევა. ახალი მთავრის, ვამაყ დადიანის ცნობა აფხაზებს არ სურდათო — გვაუწყებს ის (ჯუზეპე ჯუდიჩე, წერილები საქართველოზე, თბ. 1964. გვ. 25.).

მაგრამ როგორც ირკვევა ვამეყ III დადიანს (1657—1661) მოუხერხებია მათი დამორჩილება.

**„ოდიში ჰქონდა საკუთრად, მართებდა მისი ჯერობა,**
**აფხაზი ახლდა, თავადთა იწყიან მისი ფერობა"-ო.**

ამბობს ფეშანგი ვამეყ III დადიანზე (შაჰნავაზიანი. გვ. 64).

„ხლება" ყმის მოვალეობა იყო, ამიტომ **„აფხაზის ხლება"** —ში აფხაზთა ოდიშის მთავრობისადმი ყმობაა ნაგულისხმევი.

ბზიფის აფხაზეთის (ზუფუს) თავადად XVII საუკუნის შუა ხანებში ჩანს სოლომონ შარვაშიძე. ის მონაწილეობდა 1658 წელს ოდიშის მთავარ ლიპარიტ II დადიანსა და მის მეტოქეს, ვამეყ III დადიანს შორის ბანძასთან გამართულ ბრძოლაში ამ უკანასკნელის მხარეზე. „მეფესა და დადიანს წინ გავიმარჯვეთ გურილსა და ლიპარი დადიანზედ და ამისათვის მოვაჭედინეთ ესე პატიოსანი სახარება... ჩვენ შარვაშიძემა სოლომონ და ძემან ჩუენმან არზაყან, თქვენდა სადიდებლად და ჩუენდა სადღეგრძელოდ და არზაყანისა აღსაზრდელადო" — ნათქვამია ბიჭვინთის სახარების (თ-2120) ვერცხლის ჭედური ყდის წარწერაში (ხელნაწერთა აღწერილობა. თ კოლექცია. ტ. IV თბ. 1942 გვ. 74).

სოლომონ შარვაშიძე ვახუშტის ცნობით, 1661 წელს, იმერეთ-სამეგრელოში ვახტანგ V-ის ლაშქრობისას, ამ უკანასკნელს ხლებია ზუგდიდში. „მუნ მოერთოო შერვაშისძე აფხაზითურთ დიდი ძღუნითა" — წერს ის (ქ. ცხ. IV. გვ. 450). მართალია, ვახუშტი ამ შარვაშიძის სახელს არ ასახელებს, მაგრამ აქ რომ სოლომონ შარვაშიძე იგულისხმება, მტკიცდება ამ ამბების თვითმხილველის, ფეშანგი ამირაშვილ-ხითარიშვილის ცნობით. აი რას წერს ფეშანგი:

**„აფხაზნი სრულად მივიდნენ, მუხლს ეხვევიან მეფესა, ბ ჰკადრეს-ხფაადო გიაჯით, გუამყოფე თქუენსა სეფესა,**
**აწ მიგუმც... [illegible],**
**ვმსახუროთ ამა სისხლისა მჩქეფესა,**
**ერგულთა გუიყოს წყალობა, უქებდეთ სიიეფესა,**
**მეფემ ბრძანა — ოდიშარნი რადგან მივეც მემკუიდრესა,**
**აფხაზეთი ვით წავართვა, სახელმწიფო დაიმცრესა!**
**თქუენ მსახურეთ ხელი ერთად ძველთაგანვე ვითა წესა.**
**დაუმთელეს ხელმწიფესა მათი სიტყვა რაცა თქუესა".**

(შაჰნ-ვაზიანი. გვ. 83).

როგორც ვხედავთ, აქ აფხაზეთი ოდიშის სამთავროს (სახელმწიფოს) ნაწილადაა წარმოდგენილი. ფეშანგისა და ვახუშტის ცნობების სისწორე დასტურდება ვახტანგ V-ის მიერ ამ ლაშქრობისას იმერეთში მეფედ დასმული თავისი ძის, პოეტი მეფის-არჩილის „გაბაასება"-ში დაცული ცნობებითაც. არჩილის ცნობით, მეფე ვახტანგ V, თავის შეურაცხმყოფელ ვამეყ III დადიანს:

**„მიუხდა, ყველა წაართვა, სამეფო, სადადიანო,**
**გურია, აფხაზეთიცა, ჰე კაცო, ხლმიან-სვიანო!"**

(არჩილიანი. ტ. II. ტფ. 1937. გვ. 126). არჩილიც აღნიშნავს, რომ ზუგდიდში ჩასულ მეფეს შიშით „აფხაზიც შემოეყარა". მართალია გაკვრით, მაგრამ მაინც ლაპარაკობს არჩილი ვამეყ III დადიანის მიერ იმერთა მეფის დახმარებით „აფხაზეთის დაჭერაზე" (იქვე. გვ. 124).

ამრიგად, ირკვევა რომ აფხაზეთი (უფრო ზუსტად მისი ის ნაწილი, რომელსაც იმჟამად მეგრელები ზუფუს უწოდებდნენ) 1661 წელს ჯერ კიდევ ოდიშის სამთავროს შემადგენლობაში იყო. აფხაზური სამთავროებისა და თემების ოდიშის მთავრის მორჩილებიდან გამოსვლა XVII საუკუნის 60-იანი წლების შუა ხანებში უნდა მომხდარიყო, რადგან ამისათვის ნოყიერი ნიადაგი არსებობდა ოდიშის სამთავრო ტახტზე ლევან III (შამადავლე) დადიანის, ამ უსუსური, მალემრწმენი და უნიჭო მთავრის ყოფნის სახით. ამ უკანასკნელის პირველივე მარცხი იმერეთის მეფე ბაგრატთან ბრძოლაში, ერთგვარი ნიშანი უნდა ყოფილიყო თავნება აფხაზ თავადთათვის, რომ დადგა ოდიშის მთავრის ყმობიდან გამოსვლის ჟამი.

გაგრძელება მომდევნო ნომერში

# „შემოვიდნენ წითლები, ატყდა დავიდარაბა, რომელ ფრთას ეკუთვნი......?“

საყოველთაოდ ცნობილია, რომ ყველაზე ცუდი მეპატრონე სახელმწიფოა. საქართველოში ეკონომიკური რეფორმების მიზანი და არსი კერძო საკუთრების დამკვიდრება და საყოველთაო უპატრონობისა და ქაოსის ლიკვიდაციაა. აქედან გამომდინარე, დემოკრატიული ინსტიტუტების შექმნითა და ჯანსაღ კონკურენციაზე დამყარებული მწარმოებლობითა და ვაჭრობით, რაც თავის მხრივ ძალზე შეამცირებს სახელმწიფო თანამდებობისაკენ დღეს არსებულ ავადმყოფურ სწრაფვას, რისთვისაც ადამიანები ყოველგვარ საშუალებებს მიმართავენ. ამ ბოლო დროს გახშირდა არაჯანსაღი კრიტიკა ეკონომიური რეფორმებისა და მისი მთავარი წარმმართველის ბატონ რომან გოცირიძის წინააღმდეგ.

ეკონომიკურ საკითხებში აბსოლუტურად გაუთვითცნობიერებელი და უვიცი ადამიანების ბრძოლა რომან გოცირიძესთან რეფორმების მოწინააღმდეგეთა ერთი ფრთაა, მეორე ფრთა გახლავთ პოპულიზმით გაჟღენთილი „მოღვაწეების“ გუნდი, რომლებიც ხალხის მძიმე ნივთიერი მდგომარეობით სპეკულანტობენ და ამით პოლიტიკური დივიდენდების მოპოვებას ლამობენ. მესამე ფრთა გახლავთ ისინი, ვინც კორუპციაში გახვეული და მაფიოზურ სტრუქტურებთან დაკავშირებული (მაგალითად ბანკების მიერ უკანონოდ და პროტექციით გაცემული კრედიტებიდან სოლიდური შემოსავალი აქვთ განაღდებული.) ხშირად ერთი პიროვნება სამივე ამ ბანაკის წარმომადგენლადაც გვევლინება.

ჩემთვის საინტერესოა, რა საფუძველიდან ამოდის ბატონი ოთარ მელქაძე, როდესაც გოცირიძეს პირადი გამორჩენისაკენ ლტოლვის აბსურდულ ბრალდებას უყენებს?

ჯაბა კამკამიძე

# „კადრები წყვეტენ ყველაფერს!“

ფელიქს კოჭიაშვილი

**ამერიკის შეერთებული შტატები —**
**ფართობი: 9.363 ათასი კვ. კილომეტრი.**
**მოსახლეობა: 250 მილიონი კაცი,**
**სამინისტრო: 12**

**საქართველოს რესპუბლიკა —**
**ფართობი: 69,7 ათასი კვ. კილომეტრი.**
**მოსახლეობა: 5,5 მილიონი კაცი.**
**სამინისტრო-სახ. კომიტეტი: 27**

უჭირს ქვეყანას, მიმდინარეობს ეკონომიკური ზრდის ტემპების დაქვეითება, ბიუჯეტი დეფიციტურია, ჩვენ კი მეტისმეტი ფუფუნების უფლებას ვაძლევთ თავს, — გაუმართლებლად დიდია სახელმწიფო ხარჯები, რა ამბავია ამდენი ფედერალური სამსახურები, გაბერილია თეთრი სახლის აპარატი, სამინისტროების შტატები... ყოველ ცენტს უნდა გავუფრთხილდეთ... მოსაშორებელია ზედმეტი სამართავი რგოლები... რაც ჩემზეა დამოკიდებული, ყველაფერს გავაკეთებ, დავიწყებ კი პრეზიდენტის აპარატის შემცირებითო. — ბრძანა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ბილ კლინტონმა, თეთრ სახლში შესვლისთანავე.

თქმა და შესრულება ერთი იყო. დაიწყო მართლაც თეთრი — იგივე საკუთარი-სახლის აპარატის შემცირება... მომბაძეთო, შეაგულიანა მინისტრები, გუბერნატორები, მერები...

სხვათა შორის, ამ მხრივ, ამერიკა და კლინტონი გამონაკლისი არაა. მსგავსი პრობლემების წინაშე დგას საფრანგეთი, ინგლისი... მსგავსადაც იქცევიან — ამცირებენ სოციალურ ხარჯებს, ბიოროკრატიულ აპარატს...

...

ეჰ, ნეტა, იმათი პრობლემები ჩვენ მოგვცაო! — ამოიხვნეშებს ბიუჯეტის 80%-იანი დეფიციტის, უმოსავლო სოფლის მეურნეობის, მკვდარი ეკონომიკის, მარად ცოცხალი ბიუროკრატიული აპარატის შემყურე ქართველი მკითხველი.

...

ბიუროკრატია ყოველ დროსა და ქვეყანაში არსებობდა. მაგრამ განსაკუთრებულ აყვავებას სოციალისტურ სამყაროში, საბჭოთა კავშირში მიაღწია. აქ იშვა ადამიანის ახალი სახეობა, „ხელმძღვანელი ამხანაგი“, რომელსაც ხელმძღვანელობის, უფროსობის მეტი არაფერი შეეძლო. როგორც წესი, „ორბიტაზე“ ერთხელ გასული, მუდმივად ტრიალებდა მაღალ წრეში, იცვლიდა საუფროსო ადგილებს, კაბინეტებს:.

ბიუროკრატიული ნომენკლატურა, პარტიული აპარატი (როგორც ცნობილი იუგოსლაველი მწერალი და პოლიტიკური მოღვაწე მილოვან ჯილასი იტყოდა, „ახალი კლასი“) წარმართავდა ყველას და ყველაფერს ქვეყანაში... ავთვისებიანი სიმსივნის მეტასტაზებივით მთელ სახელმწიფო ორგანიზმს მოდებული, ყოველივეს ნთქავდა თავის გარშემო...

...

დაიშალა ერთიანი „ორგანიზმი“.

დარჩა „მეტასტაზები“..

...

სახელ და კანგამოცვლილი ნომენკლატურა ერთგან (შუა აზიის რესპუბლიკები) კიდევ უფრო გაძლიერდა. მეორეგან (რუსეთი, ბელორუსია, უკრაინა) თავგამოდებით იბრძვის პოზიციების შენარჩუნებისთვის.

...

რა ხდება ამ მხრივ საქართველოში?

ბიუროკრატია, ნომენკლატურა ძველებურად „ორბიტაზეა“.

...

წითლები, კომუნისტები ბრუნდებიანო. — ერთი ამბავი ატყდა შარშანდელი ოქტომბრის არჩევნების შემდეგ.

ღმერთო მომკალი და რა სჭირდათ დასაბრუნებელი?!

სამინისტრო-უწყებებში ათასგვარ ინსტანციებში კოხტად მოკალათებული, ძირითადად არაფრის მკეთებელი, ქვეყნისათვის თუ არა, ოჯახებისათვის ერთობ საჭირო და სასარგებლო „აპარატჩიკები“, „პროფესიონალები“, მსხვილი და წვრილი „ხელმძღვანელი მუშაკები“ არსად არ წასულან. ჩვეული ენერგიით აგრძელებდნენ უსაქმო საქმიანობას ნაჩვევ ადგილებზე.

ბიუროკრატიამ, ნომენკლატურამ, აპარატმა ფერი და იდეოლოგია არ იცის.

კომუნისტები არიან სათავეში? — თავადაც წითელფეროვანია, კომუნისტურ „იდეალებს“ ემსახურება. „მრგვალები“? — „როგორ გეკადრებათ, რწმენით ვინ იყო ჩვენში კომუნისტი?!“, დემოკრატები? — „ხელებდაკაპიწებული“ დგება ახალი საზოგადოების მშენებლობის ხარაჩოებთან...

...

დგანან, უფრო ზუსტად, სხედან და „აშენებენ“ კიდეც!..

არადა, ახალი (დემოკრატიული, კაპიტალისტური) საზოგადოება ძველი სტრუქტურებით, კადრებით არ აშენდება. და საერთოდ, კაპიტალიზმი სოციალიზმი არაა, იგი არ შენდება, და შესაბამისად, არც გაბერილი სტრუქტურები, კალმიანი „მშენებლების“ არმიები სჭირდება.

მაგრამ არც საქართველოა ამერიკა, ასე ადვილად ვერ გაუშვებ „გამოცდილ კადრებს“!

ამიტომ (რა თქმა უნდა, არა მარტო ამიტომ) საჭიროა ძველი სტრუქტურების შენარჩუნება.

საჭიროა და არის კიდეც 27 სამინისტრო-კომიტეტი (ამას მიუმატეთ ავტონომიების სამინისტრო-კომიტეტები), აუარება მსხვილი და წვრილი სამართავი რგოლები (არადა, უთქვამთ, კარგი მთავრობა ისაა, მეტისმეტად რომ არ მართავსო!)...

აბა, ის რა სათქმელია, რომ კაცმა არ იცის, რას აკეთებს ბევრი მათგანი, ერთმანეთისგან ფუნქციებიც რომ ვერ გაუმიჯნავთ-გაუყვიათ, მათს მუშაობაში როგორც იტყვიან, პარალელიზმს რომ აქვს ადგილი (ექნება, აბა არ ექნება, როცა ერთდროულად, ერთმანეთის გვერდით და ცალ-ცალკე არსებობს სოფლის მეურნეობის სამინისტრო და მიწის რეფორმისა და პრივატიზების კომიტეტი, ეკონომიკის სამინისტრო და მრეწველობის სამინისტრო, მეცნიერებისა და ტექნიკის კომიტეტი და მეცნიერებათა აკადემია...)...

...

დეფიციტში გარღვევააო!

ანარქიულ, უფულო, უეკონომიკო, უმუშევარ ქვეყანაში ზემოაღნიშნული კალმიანი არმიებიც რომ ბიუჯეტზე იჯდებიან, ამ უკანასკნელის დეფიციტი 80 კი არა, 180 პროცენტი რომ არა, გასაკვირია სწორედ!..

...

თუმცა, ამერიკის ბიუჯეტიც ხომ დეფიციტურია!..

# კანონი, რომლითაც ავი ზრახვით მოსულნი საქართველოდან გაპანჩურდებიან..

3 ივნისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი რესპუბლიკაში უცხოელთა სამართლებლივი მდგომარეობის რეგულირების შესახებ. აღნიშნული კანონი მისი უმთავრესი შემოქმედის ბატონ შალვა ნათელაშვილის განმარტებით ეყრდნობა საერთაშორისო სამართლის უნივერსალურ აქტებს, საქართველოს რესპუბლიკის 1921 წლის კონსტიტუციის შესაბამის ჰუმანურ დებულებებს და ქართული სტუმართმოყვარეობის ტრადიციებს. გარდა ამისა კვლავ ბატონი შალვას განმარტებით, რომელიც მან 4 ივნისს პარლამენტის სხდომათა დარბაზში დიპლომატიური და ჟურნალისტთა კორპუსის წარმომადგენლებისათვის გამართულ პრესკონფერენციაზე გააკეთა. კანონი ითვალისწინებს ამერიკის შეერთებულ შტატების, გერმანიის, ისრაელისა და მექსიკის, აგრეთვე ბალტიისპირეთის რესპუბლიკების შესაბამისი საკანონმდებლო აქტების მიღწევებს. იმ ქვეყნათა ნუსხაში, რომლებსაც ჩვენ უნდა ვბაძავდეთ ნელ-ნელა შემოდის ახალი სახელები. ყოველ შემთხვევაში თუ მექსიკელებსაც ასეთი კანონები ექნებოდათ ძნელი წარმოსადგენი იყო.

აღნიშნულ კანონით იკრძალება ორმაგი მოქალაქეობა, რასაც საქართველოსთვის უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს, ძალზე ბევრი ჩვენს მიწაზე მცხოვრები მოისურვებდა ჩვენდამი არც თუ ისე, კეთილმოსურნე განწყობილ მეზობელი ქვეყნის მოქალაქეობასაც, სადაც დაუბრკოლებელი მოძრაობით მთლად საქართველოს სასიკეთო საქმეებისათვის არ დაშურებოდა. უცხოელს არ ეკისრება სამხედრო ბეგარა და კატეგორიულად ეკრძალება პოლიტიკურ პარტიებში, პოლიტგაერთიანებებში გაწევრიანება, ჩამორთმეული აქვს საარჩევნო უფლებები. ეს შეზღუდვები არ აწინააღმდეგება საერთაშორისო აქტებით მიღებულ ნორმებს და ასევე სასარგებლო იქნება ქვეყნის მომავლისათვის. სავანაირად საქართველოს მომავალ პარლამენტში შეიძლებოდა მიგველო საკმაოდ მძლავრი ფრაქციები დიდი ალანიის, დიდი არმენიის და კიდევ ჩვენთვის რაღაცა დიდი უბედურების მომტანი დეპუტატებისა.

არის კიდევ ერთი მუხლი, რომელმაც საქართველოდან შეიძლება ხალხთა დიდი გადასახლება გამოიწვიოს. კერძოდ უცხოელს გააძევებენ ქვეყნიდან თუ სახელმწიფოს უშიშროების ინტერესებს მისი იქ ყოფნა რაიმე საფრთხეს უქმნის. საქართველოში მთელი რეგიონებია სადაც ხალხი მეზობელი ქვეყნების ინტერესებით ცხოვრობს, ამდენად მათ მოკლე დროში მოუწევთ გადაწყვეტილების მიღება.

და მაინც აღნიშნულ კანონის უმთავრესი ღირსება ის გახლავთ, რომ იგი ერთადერთია დღემდე საქართველოში არსებულ კანონთა შორის, რომელიც ქართველის უპირატესობას უსვამს ხაზს. სხვა ეროვნების ადამიანებთან შედარებით — მხოლოდ ქართველს აქვს უფლება იყოს უცხო ქვეყნის მოქალაქე და იცხოვროს საქართველოში მუდმივად. ვნახოთ რამდენი უცხოეთში მცხოვრები ჩვენი თანამემამულე ისურვებს მხარში ამოუდგეს გატანჯულ სამშობლოს, გაიზიაროს მისი დღევანდელი ხვედრი.

პარლამენტის იურიდიული კომისიის თავმჯდომარის ოპტიმიზმი კანონის სიკარგის შესახებ რომ სიმართლეს შეეფერება ეს ნათლად გამოჩნდა პრესკონფერენციის მონაწილე დიპლომატების გაღიმებული სახეებიდან, თუმცა ვნახოთ რას მოგვიტანს ხვალინდელი დღე.

მერაბ მაისურაძე

# მორფინისტის აღსარება

დასასრული დასაწყისი მე-2 გვ

მაგრამ მე თქვენთან საკაცობრიო პრობლემების გადასაჭრელად როდი მოვსულვარ. მე რაცა ვარ ეგა ვარ. ვეღარ შევიცვლები, დღეს მე საქართველოს ბედი მაწუხებს. ისიც რომ ერთ დღეს ჩვენი მეზობლები ისეთ წამალს შემოუშვებენ ჩვენი გენოფონდი გაწყდება. ზოგადად ამაზე დღეს ბევრს ლაპარაკობენ და თქვენმა გაზეთმაც უნდა ატეხოს განგაში.

— საზოგადოების უმეტესობა გამოუსწორებელ შეცდომად თვლის იმას რომ დაიხურა საგარეჯოს სამკურნალო დაწესებულება.

— ეს გულუბრყვილოთა, უფრო სწორად, საქმეში ჩაუხედავი ხალხის აზრია. იქ იმდენი ნარკოტიკი შედიოდა, შეიძლება გარეთ დარჩენილებს შურდათ კიდეც.

— რა საფუძველი გაგვთ ასე დაბეჯითებით რომ ამტკიცებთ?

— ციცხვმა უკეთ არ იცის ქოთნის საქმე. რამდენიმე წელი მეც „ვმკურნალობდი“ ამ „სანატორიუმში“ და არასოდეს მიგვრძვნია ნარკოტიკის დეფიციტი.

— აღარ ყოფილა გამოსავალი და ეგ არის...

— სტალინური მკაცრი ხელი უნდა.სანამ პოლიციელები ერთ „პრაკოლში“ 50 ათას მანეთს იღებენ არაფერი გვეშველება.

— „პრაკოლი“ ესე იგი?

— მკლავზე დარჩენილ ნაჩხვლეტს ჰქვია. ჩვენ გვიჭერენ და ბარიგებს, რომლებიც წამალს გვაძლევენ, თავზე ხელს უსვამენ — ფული აქვთ ბევრი. ფული კი ჯოჯოხეთს ანათებს და პოლიციელს ვერ გაუთბობს გულს?

* * *

ბატონ „ინკოგნიტოსთან“ საუბარი კიდევ დიდხანს გაგრძელდა და რესპონდენტი დაბეჯითებით გვიმტკიცებდა, რომ თბილისელ ახალგაზრდათა 80 პროცენტი ნარკომანია და ამის ერთ-ერთ მიზეზად თვლიდა საქართველოში გამეფებულ უკანონობასა და სოციალურ მდგომარეობას, რომ ახალგაზრდები ირიალურ სამყაროს აფარებენ თავს. მის მსჯელობაში ბევრი ურთიერთგამორიცხავი აზრიც იყო მაგრამ, ციცხვმა მაინც უფრო მეტი იცის ქოთნისა.

ჩვენი მხრიდან კი ერთი უნდა ვთქვათ. საქართველო კვლავ უდიდესი გამოცდის წინაშე დადგა. მტერმა ამჯერად სხვა მხრიდან შემოგვიტია და ჩვენდა სავალალოდ, ცულის ტარის როლს, უკვე მერამდენედ, კვლავ ჩვენ ვასრულებთ.

P.S. გაზეთი კომპიუტერზე იწყობოდა, როდესაც ინკოგნიტო რესპონდენტმა ტელეფონით გვაცნობა, რაც სოფელ ირში (რაჭისა და სამაჩაბლოს გამყოფი სოფელი) ვნახე მეჯვრისხევთა ნარკობიზნესმა ელვარება დაკარგა.

ისე, თუ ხასიათზე ვიქნები, ეგებ კიდევ გეწვიოთ და რაჭველების ნარკობიზნესზე გესაუბროთ. ესა სთქვა და ყურმილი დაგვიკიდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა



## უბედური შემთხვევა, რომელიც თანდათანობით კანონზომიერ უბედურებად იქცევა...

ორშაბათს,7 ივნისს თავისუფლების მოედანზე, პუშკინის ქუჩის ჩასასვლელთან მოხდა უბედური შემთხვევა. ქუჩაზე უადგილო ადგილას გადადიოდნენ ფეხით მოსიარულე მოქალაქენი.

ერთ-ერთი ავტომანქანის მძღოლმა უადგილო სიჩქარის გამო მანქანის დამუხრუჭება ვერ მოასწრო და ერთი ხანდაზმული კაცი შეჯახების შედეგად სიცოცხლეს გამოასალმა.

დაბნეულმა მძღოლმა საჭე ვეღარ დაიმორჩილა, მოძრაობის საწინააღმდეგო მხარეს გადავიდა და შეასკდა იქვე, კუთხეში გაჩერებულ მეორე ავტომობილს.

დამნაშავე მძღოლის გვერდით მჯდომი მოქალაქე დააკავეს. მძღოლმა გაქცევა სცადა, მაგრამ მიწისქვეშა გასასვლელში ისიც დაიჭირეს.

შემთხვევის ადგილზე რამდენიმე წუთში გაჩნდა ქალაქის მერი ბატონი კოტე გაბაშვილი. პოლიციელები და უამრავი მოქალაქე. თვალშისაცემი სურათი-ქალაქის მერი ხმის ჩახლეჩამდე ითხოვს მოქალაქეთაგან ჩვენების მიცემას. რა დაინახეს, რა როგორ იყო?

თვითმხილველნი სდუმან და უკან-უკან იწევენ...

ქალაქის მერი ხმის ჩახლეჩამდე ყვირის: ახლა მაინც ნუ გადავლენ ქუჩაზე ფეხით, მიაშურონ მიწისქვეშა გადასასვლელს, (სადაც სხვათა შორის განათებისთვის მერია ყოველ დღე ჰკიდებს ნათურებს და ასევე პერმანენტულად, ყოველ დღე იპარავენ მპარავნი) მიუხედავად იმისა, რომ ასფალტზე ჯერ კიდევ სისხლის ტბორები დგას.

მიუხედავად იმისა, რომ ქალაქის მერი პოლიციელებზე მეტად აქტიურობს და მგზავრებს წესრიგისაკენ მოუწოდებს.

მიუხედავად იმისა, რომ ქუჩა სავსეა პოლიციელებით მოქალაქენი კვლავ ღიმილით, სიცილით, საუბარ-საუბრით გადადიან და გადმოდიან ქუჩაზე.

აქ 5 წუთის წინ დაყენებული სიკვდილის ჩრდილი აღარავის ახსოვს. ცხოვრება ისევ ისე გრძელდება. ამორფულად. წესი და რიგი ყველას ფეხებზე ჰკიდია. ასეთმა ქაოსმა კი შესაძლოა უბედური შემთხვევები კანონზომიერ უბედურებით აქციოს.

მოკლედ ყველაფრიდან ჩანს, რომ ჩვენი საზოგადოება თვითმკვლელობისაკენ მიდის. ნუთუ აღარ დადგება ის დრო, როცა თავისუფლებასა და ანარქიას განვასხვავებთ ერთურთისაგან?



## საქართველოს სახალხო ფრონტის განცხადება

1993 წლის 24 ივნისს, 16 საათზე საქართველოს სახალხო ფრონტის შტაბ-ბინაში (პუშკინის 5) შედგება სემინარი თემაზე „ერისა და პიროვნების ურთიერთობა“.

მომხსენებელი — საქართველოს სახალხო ფრონტის თავმჯდომარის მოადგილე, ფსიქოლოგიის ინსტიტუტის დირექტორი, პროფესორი შოთა ნადირაშვილი.

* * *

1993 წლის 25 ივნისს, 13 საათზე შედგება საქართველოს სახალხო ფრონტის დარბაზის სხდომა. რაიონული სახალხო ფრონტების თავმჯდომარეების დასწრება სავალდებულოა.

ბუნებამაც არ დაგვინდო



თბილისი, თავისუფლების მოედანი ოთხშაბათ დილით

### ახალი ანეკდოტი, რომელსაც ვერ შეველიეთ და გაზეთში ვაქვეყნებთ.

— როგორა ხართ? — ეკითხებიან გაუთხოვარ ქალს.
— კუპონივით!..
— ეს როგორ?
— უმწიკვლო ვარ და არავის ვუნდივარ!..


მთავარი რედაქტორი
ნოდარ გრიგალაშვილი

სარედაქციო საბჭო
თენგიზ გოგოტიშვილი
ვახტანგ კომახიძე
ფელიქს კოჭიაშვილი
სერგო ჯანაშია



რედაქციის მისამართი:
თბილისი, თავისუფლების მოედანი, პუშკინის ქ. 5
ტელ:
რედაქტორი: 93-20-36,
მოადგილე: 93-18-41.
პასუხისმგებელი მდივანი: 93-19-99

გაზეთი იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში, ხოშარაულის 29.

შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

გაზეთის
ინდექსი 66447

ფასი
30 კუპონი